საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იკითხეთ
საქართველოს რესპუბლიკა
გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 113 (2227) ოთხშაბათი, 12 ივნისი, 1996 წელი. ფასი 30, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება, ბატონო პრეზიდენტო!

გუშინ თბილისს ოფიციალურ ვიზიტად ეწვია გერმანიის ფედერალური პრეზიდენტი რომან ჰერცოგი



თბილისის აეროპორტში.

ორი ქვეყნის თანამშრომლობის განვითარების ახალი ეტაპი

„**ამ** კვირას მე გერმანიის დღეებს დავარქმევდი, გნებავთ, გერმანულ კვირას. საყოველთაოდ ცნობილია ამ დიდი ქვეყნის ხაზგასმული, მეგობრული და გულთბილი დამოკიდებულება საქართველოსადმი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბატონ რომან ჰერცოგისა და მისი მეუღლის ჩამობრძანება ორ სახელმწიფოს შორის ახალი ეტაპის, ფართომასშტაბიანი და მრავალმხრივი ურთიერთობის დაწყებას მოასწავებს. ამავე დროს, ეს ვიზიტი მიგვანიშნებს გერმანიის ხაზგასმულ ინტერესს საერთო-კავკასიური პრობლემებისადმი, რასაც ყოველმხრივ მივესალმები. საქართველო, რომელიც, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ, თავისუფალ სახელმწიფოს აშენებს, მადლიერების გრძნობით ეგებება საპატიო სტუმარს", — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ რადიოინტერვიუში გერმანიის ფედერალური პრეზიდენტის რომან ჰერცოგის თბილისში ჩამოსვლის წინა დღეს.

გუშინ, 11 ივნისს, საღამოს ხუთის ნახევარზე, თბილისის აეროპორტში დაეშვა თვითმფრინავი, რომლითაც კელნიდან ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტი რომან ჰერცოგი მეუღლითურთ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საქართველოს სახელმწიფო ალმებით მორთულ ასაფრენ ზოლთან საპატიო სტუმარს მიესალმნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და მისი მეუღლე.

დამხვედრთა შორის იყვნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, ქვეყნის სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ნორბერტ ბაასი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში კონსტანტინე გაბაშვილი და სხვა ოფიციალური პირები.

შესრულდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები. საპატიო ყარაულის ჯარებმა ჩაიარეს საზეიმო მარშით.

შეხვედრის ცერემონიის შემდეგ ავტომანქანების კორტეჟი გაემართა კრწანისის სამთავრობო რეზიდ-

ყვავილები— უცნობ ჯარისკაცს

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, რაც მიწყდა მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელი ზალპები. ფაშიზმისაგან ევროპის განთავისუფლებაში საქართველოდან 700 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა, აქედან, ნახევარზე მეტი აღარ დაბრუნებულა ბრძოლის ველიდან.

საქართველოში ჩამოსვლის დღეს ხანმოკლე დასვენების შემდეგ გერმანიის ფედერალურმა პრეზიდენტმა რომან ჰერცოგმა პატივი მიაგო გამათავისუფლებელ მეომართა ხსოვნას. მან გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი თბილისის ვაკის პარკში.

***

იმავე საღამოს, თბილისის ბიზნეს-კლუბ „მთაწმინდაში" საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა დარბაზობა გამართა საპატიო სტუმრის პატივსაცემად.

საქინფორმი.

კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში მიღების დროს გერმანიის ფედერალური პრეზიდენტი რომან ჰერცოგი და საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მეუღლეებთან ქრისტიანე ჰერცოგთან და ნანული შევარდნაძესთან ერთად.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

გულთბილი შეხვედრა ჰერმან ვედეკინდთან.



უცნობი ჯარისკაცის საფლავის გვირგვინით შემკობის ცერემონიალის დროს თბილისის ვაკის პარკში.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1996 წლის 30 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლების საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

მამულის დაცვისას გამოჩენილი მამაცობისათვის, თავდადებისა და მხედრული ვალის მოხდისათვის, საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები დაჯილდოვდნენ საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით:

III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:
თამაზ გვაძაბია — მაიორი;
ზაზა ცაზალიკაშვილი — მაიორი;
მამუკა ქობალია — უფროსი ლეიტენანტი.

ღირსების ორდენით:
თეიმურაზ გრძელიძე — გენერალ-მაიორი.

მედლით „მხედრული მამაცობისათვის":
გოჩა დანიელაშვილი — ვიცე-პოლკოვნიკი;
თენგიზ კაველიძე — უფროსი ლეიტენანტი;
კობა ოთანაძე — პოლკოვნიკი;
ვახტანგ ლონლაძე — მაიორი;
ვალერი ჯაბუა — ვიცე-პოლკოვნიკი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

ვახტანგ ყოლბაიას აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ვახტანგ ყოლბაია აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1996 წლის 31 მაისი.

როცა მინისტრები კაბინეტიდან გამოდიან

„ჭიათურმანგანუმი" გზას ეძებს

ჭიათურას უკვე მესამე თვეა სტაბილურად აწვდიან 12-13 მეგავატ ელექტროენერგიას. ქალაქში ცხვება პური (ამას დიზელ-გენერატორის დადგმამაც შეუწყო ხელი), მოსახლეობას გრაფიკით მიეწოდება ელექტროენერგია, წყალი. ერთი სიტყვით, შეიქმნა აუცილებელი სასიცოცხლო პირობები, რომელთა იქითაც უპრეტენზიო ჭიათურელები არც იხედებიან...

თუმცა უპრეტენზიობასაც აქვს საზღვარი. ძნელია, დახლებზე ეწყოს ფაფუკი, სურნელოვანი პური და უფულობის გამო ვერ ყიდულობდე. ჭიათურაში დღეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა მაღაროელისთვის პურის ნისიად, ხელფასამდე გაცემა (ჯამაგირი მაღაროელებს და საერთოდ ქალაქის მუშა-მოსამსახურეებს 3-4 თვეა არ მიუღიათ). ესეც ქალაქისა და „ჭიათურმანგანუმის" ხელმძღვანელების დამსახურებაა. ანალოგიური მდგომარეობაა განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა დარგებში. ქალაქის ბიუჯეტის შემოსავლების 80-85 პროცენტი სწორედ „ჭიათურმანგანუმის" ხარჯზე მოდის. იგი დღეს გაჩერებულია და ამიტომაც ქალაქში შექმნილი ვითარებაც ძნელი წარმოსადგენი არ არის.

მაინც, რა სჭირს დღეს ამ გიგანტს, სულს რომ ლაფავს?..

დიაგნოზი ცნობილია.

ეკონომიკური კავშირების მოშლამ, ელექტროენერგიის მოუწოდებლობამ, უსახსრობამ დანგრევის პირას მიიყვანა მაღაროთა სამმართველოების მიწისქვეშა სანგრევები, რომელთა აღდგენასაც წლები და უზარმაზარი სახსრები დასჭირდება. შარშანდელი წელი „ჭიათურმანგანუმმა" 457 ათასი დოლარის უარყოფითი ბალანსით დაასრულა. დღეისათვის ქალაქის ბიუჯეტისადმი მისი დავალიანება 600 ათას დოლარს შეადგენს. (სამთავრობო შეღავათები, რაც განხორციელდა, მაგალითად, ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობისთვის „ჭიათურმანგანუმს" არ შეხებია. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საბაზრო ეკონომიკის პირობებში კრძალავს ასეთი ოაზისების შექმნას).

მაღაროები უმოქმედოდაა, დღეს მხოლოდ კარიერები მუშაობს, სადაც 200-მდე კაცია დასაქმებული და შეიძლება ითქვას, ისინი ინახავენ 5300 კაცს. ჯერჯერობით „ჭიათურმანგანუმს" ვერც ამ ორიოდე წლის წინათ სააქციო საზოგადოებად გარდაქმნამ უშველა, ვერც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის 10 წლით მმართველმა — რუსეთის უდიდესმა კომპანია „მიკროდინმა" და მისმა რუსულ-ქართულმა ბანკმა შეასრულა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობა. პირიქით, სიმბოლურპროცენტიანი სესხის ნაცვლად ფაქტობრივად, კაბალური, 70-პროცენტიანი მოკლევადიანი სესხი მოახვია თავს, რამაც კიდევ უფრო დაუმძიმა მდგომარეობა ისედაც კრიზისში მყოფ საწარმოს. „ჭიათურმანგანუმი" მივიდა იმ მიჯნამდე, რომლის იქითაც კატასტროფა გარდუვალია. ამიტომაც სასწრაფოდ გახდა შესამუშავებელი პროგრამა, რომელიც უმოკლეს დროში გამოიყვანდა „ჭიათურმანგანუმს" კოლაფსიდან.

ამ მიზანს ისახავდა სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმში" ამას წინათ გამართული სამეთვალყურეო საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი ავთანდილ სილაგაძე, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრი კოტე ზალდასტანიშვილი, საქართველოს პრეზიდენტის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის დასავლეთ საქართველოს რეგიონის განყოფილების უფროსი მიხეილ მარი, ს/ს „ჭიათურმანგანუმის" აქციების პაკეტის მფლობელი, ჰოლდინგური კომპანია „საქსამთომეტალურგის" პრეზიდენტი ირაკლი ჟორდანია და სხვები.

ამ ღონისძიების ინიციატორი გახლდათ ჭიათურის მერი დავით კეკენაძე, რომელმაც შეხვედრის დასაწყისშივე ისაუბრა ყველა იმ პრობლემაზე, რომლებზეც ზემოთ ვაუწყეთ მკითხველებს. როგორც ხელისუფლების წარმომადგენელმა, მან დასვა საკითხი სამეთვალყურეო საბჭოს განეხილა სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის" მარკეტინგის, მენეჯმენტისა და მართვის სტრუქტურების სრულყოფის 1996-2000 წლის პროგრამის შემუშავების და ამ საქმეში ადგილობრივთან ერთად უცხოელი ექსპერტების ჩართვის საკითხები. წინადადებას, სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრთან ერთად, მოწვეულმა სტუმრებმაც დაუჭირეს მხარი, ხოლო მინისტრმა კოტე ზალდასტანიშვილმა ამ პროგრამის დაფინანსება-შედგენის დაჩქარებაში განსაკუთრებული დახმარება აღუთქვა.

„ჭიათურმანგანუმი", როგორც მისმა გენერალურმა დირექტორმა ნიკო შეყლაშვილმა თქვა, დღეს ჰგავს ავადმყოფს, რომელსაც აუცილებლად სჭირდება ინექცია. ეს ინექცია კი ინვესტიციაა. მან სხდომას მოახსენა ინვესტორის — გერმანია-ბელგიური საფინანსო-სამრეწველო კომპანია „ენიტელის" მზადყოფნაზე იტვირთოს „ჭიათურმანგანუმის" ინვესტირება. „ენიტელი" მზადაა 50 მილიონი დოლარით დააფინანსოს სააქციო საზოგადოება, რის სანაცვლოდ იგი ითხოვს აქციების გარკვეულ ნაწილს.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე მტკივნეულად ითქვა, რომ სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის" აქციათა დიდი რაოდენობა ვაუჩერებზე კერძო თუ იურიდიულ პირებზე თითქმის ჩალის ფასად არის გაყიდული, რომ სააქციო საზოგადოების შექმნისთანავე 10-პროცენტიან აქციათა პაკეტი, ანუ 11 მლნ. 100 ათასი დოლარის აქციები, რუსეთის მიერ „ვალშია" წალებული. ამას ემატება 1995 წლის მაის-ივნისში ისევ რუსეთისათვის საწინდრის სახით ჩადებული 20 მილიარდი რუბლის ტექნიკური კრედიტის სანაცვლო აქციები და...

ყოველთვის გვიჩნდება რიტორიკული კითხვა: ეს შეიძლება რომელიმე მაღალი რანგის ჩინოვნიკს აძლევს ხელს, მაგრამ რას იგებს ამით სახელმწიფო, რა რჩება „ჭიათურმანგანუმს"?

არადა, „ჭიათურმანგანუმი" არის საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტი, რომელმაც განმსაზღვრელი სიტყვა უნდა თქვას არა მარტო ჭიათურის, არამედ მთლიანად საქართველოს ეკონომიკურ აღორძინებაში. შემთხვევითი არ არის, რომ „ჭიათურმანგანუმი" შეტანილია მსოფლიოს ბანკის პროგრამაში, როგორც საერთაშორისო ტენდერზე გასატანი ობიექტი.

დღეს „ჭიათურმანგანუმის" აქციების გარკვეული ნაწილი კერძო საკუთრებაა, რომლის პატრონები არიან არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი ინვესტორებიც, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამ საწარმოს განვითარებით. უნდა მოიძებნოს ისეთი ინვესტორები, რომლებიც აამუშავებენ ჭიათურასაც, და, საერთოდ, საქართველოს მრეწველობის ძვალკუნთოვან სისტემას.

კოტე ზალდასტანიშვილი: ვთვლი, რომ გაგონილს ნანახი სჯობია. დღეს ბევრი რამ შევიძინე, როცა მონაწილეობა მივიღე უშუალოდ სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის" მეთვალყურეთა საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე და პირადად გავეცანი იმ პრობლემებს, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვს. ყოველნაირად შევეცდები გვერდში დავუდგე ქალაქ ჭიათურისა და „ჭიათურმანგანუმის" ხელმძღვანელობას.

„გაგონილს, ნანახი სჯობია" — შეუძლებელია არ დაეთანხმო ამ სიბრძნეს. მაშ, ბატონო მინისტრებო, გამოდით კაბინეტებიდან და ეწვიეთ რეგიონებს. აქედან უკეთესად ჩანს ქვეყანა.

შორენა გიგილეიშვილი,
გაზეთ „სამთოელის" რედაქტორი.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1996 წლის 30 მაისი ქ. თბილისი

კაპიტალური მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და საინვესტიციო დოკუმენტაციის სავალდებულო სახელმწიფო ექსპერტიზის შესახებ

კაპიტალური მშენებლობის წინასაპროექტო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და საინვესტიციო დოკუმენტაციის ხარისხის ამაღლების, სამშენებლო საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ეფექტიანი განხორციელებისა და ამ საქმიანობისადმი კონტროლის გამკაცრების უზრუნველყოფის მიზნით:

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაწესდეს კაპიტალური მშენებლობის (რეკონსტრუქციის) იმ ობიექტების წინასაპროექტო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და საინვესტიციო (ბიზნეს-გეგმების, დოკუმენტაციის სავალდებულო სახელმწიფო ექსპერტიზა, რომელთა ღირებულება აღემატება 0,2 მილიონ ლარს), ხოლო ქალაქთმშენებლობის (საქალაქო, რაიონული, სასოფლო ტერიტორიების სქემების, გენერალური გეგმების, დეტალური დაგეგმარების პროექტების, დარგების განვითარების რესპუბლიკური მიზნობრივი პროგრამების) და მრავალჯერადი გამოყენების დოკუმენტაციისა, — მიუხედავად მათი ღირებულებისა.

0,2 მილიონ ლარზე ნაკლები ღირებულების კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ტექნიკური და საინვესტიციო დოკუმენტაციების ექსპერტიზა, გარდა სამელიორაციო დანიშნულების ობიექტებისა, განახორციელონ დარგობრივი სამინისტროების, დეპარტამენტებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ შექმნილმა საუწყებო საექსპერტო სამსახურებმა.

სამელიორაციო დანიშნულების იმ ობიექტების ექსპერტიზა, რომელთა ღირებულება არ აღემატება 20,0 მილიონ ლარს, განახორციელოს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ.

2. მშენებლობათა დოკუმენტაციის სახელმწიფო ექსპერტიზის ძირითად ამოცანებად განისაზღვროს:

კაპიტალურ მშენებლობაში ინვესტიციათა ეფექტიანობის ამაღლება;

არქიტექტურულ-გეგმარებითი და ქალაქმშენებლობითი საპროექტო გადაწყვეტის ხარისხის ამაღლება;

მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მონაპოვართა დანერგვა დაპროექტებასა და მშენებლობაში;

სრულყოფილი საცხოვრებელი გარემოს შექმნა და ბუნების დაცვის ღონისძიებათა უზრუნველყოფა;

სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობისა და კონტროლის გაძლიერება;

საქართველოს ტერიტორიაზე კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფოებრივი რეგულირება.

3. ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული წინასაპროექტო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და საინვესტიციო დოკუმენტაციის სახელმწიფო ექსპერტიზა განახორციელოს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ, რომელმაც:

ა) ერთ თვეში შეიმუშაოს და დაამტკიცოს კაპიტალური მშენებლობის დოკუმენტაციის სახელმწიფო ექსპერტიზის ორგანოთა დებულება, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით კაპიტალური მშენებლობის დოკუმენტაციის განხილვის, ექსპერტიზის და დამტკიცების სამშენებლო ნორმები და წესები;

ბ) შეიმუშაოს და დაადგინოს იმ ობიექტების კატეგორიები, რომელთა დოკუმენტაციაც ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო ექსპერტიზას, მიუხედავად მათი ღირებულების, მნიშვნელობის, ფუნქციონალური დანიშნულების, მოცულობებისა და სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით;

გ) გააძლიეროს მომთხოვნელობა სახელმწიფო ექსპერტიზის რესპუბლიკურ, ავტონომიურ რესპუბლიკათა, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიმართ ამ ბრძანებულებით განსაზღვრული ამოცანების რეალიზაციისათვის.

4. ამ ბრძანებულების ძალაში შესვლის დღიდან აეკრძალოთ კაპიტალური მშენებლობის დამკვეთებს, საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებსა და მშენებლობის დამფინანსებელ ბანკებს საქართველოს ტერიტორიაზე იმ ობიექტების მშენებლობა და დაფინანსების გახსნა, რომელთა დოკუმენტაცია ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო ექსპერტიზას და არ მიუღიათ სახელმწიფო ექსპერტიზის შესაბამის ორგანოთა დადებითი დასკვნა.

5. ბრძანებულება ძალაშია გამოქვეყნების დღიდან.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის 1996 წლის 26 აპრილს დადებული „განვითარების საკრედიტო ხელშეკრულებების“ რატიფიკაციის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის 1996 წლის 26 აპრილს დადებული „განვითარების საკრედიტო ხელშეკრულებები“.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე,
გიორგი კობახიძე.

თბილისი, 1996 წლის 31 მაისი.

ენერგია

დღეიდან ჩვენი გაზეთი იწყებს წერილების ციკლს, რომლის საერთო რუბრიკა იქნება — „ენერგია“. დიახ, ენერგია, რომელიც ძალიან ფართო მცნებაა და ასევე ბევრს გულისხმობს. მოგეხსენებათ, ჩვენი დღევანდელობა წარმოუდგენელია უენერგეტიკოდ, გასულმა ზამთარმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ქვეყანა, რომელსაც ენერგორესურსების საკითხი არა აქვს მოგვარებული, წინ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს გასული ზამთარი, ჩაბნელებული სახლები და ქუჩები; დადუმებული საწარმოები, ფაბრიკები და ქარხნები, რომელთა უმოქმედობამ ქვეყანას მილიონობით ზარალი ანახა. შეიძლება თუ არა ამ მხრივ რაიმეს გამოსწორება? როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, შეიძლება. ოღონდ ამისათვის ბევრი რამ არის საჭირო. რა თქმა უნდა, პირველ რიგში სოლიდური თანხები, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. არის პრობლემები, რომელთა დაძლევა საინფორმაციო საშუალებებითაც შეიძლება. და აი, უბრალო, მაგრამ მეტად მეტყველი მაგალითი, როცა ინდოეთში ჩვენზე უარესი ენერგოკრიზისი შეიქმნა, მთავრობის დადგენილებით შემუშავდა სახელმწიფო პროგრამა, სპეციალური დავალება მიეცა ჟურნალ-გაზეთებს, ტელევიზიას, რადიოს, რომელთაც დაიწყეს მძლავრი პროპაგანდა. სულ მალე ქვეყანაში ამოქმედდა 25 მილიონი მცირე, საშუალო და მძლავრი ბიოდანადგარი, რომლებმაც პრაქტიკულად მოხსნა მოსახლეობის საწვავი აირით მომარაგების პრობლემა, რომელთაც მსგავსი დანადგარები ააგეს. რით იყო საინტერესო აღნიშნული სისტემები?

უპირველესად იმით, რომ იგი ძალიან იაფია და მალე იძლევა შედეგს, რა თქმა უნდა, ყველამ იცის, რომ მძლავრი ელექტროსადგური უფრო მეტ ენერგიას მოგვცემს, მაგრამ მას ხომ მძლავრი კაპიტალური დაბანდება უნდა? და თანაც მის აგებას რამდენიმე წელი სჭირდება. ბიოდანადგარი, ენერგეტიკის ალტერნატიული წყაროა და ამ მხრივ ჩვენთან საოცრად დიდი რეზერვებია. მაგრამ მარტო ეს არ არის ჩვენი სიმდიდრე. საქართველოში, მოგეხსენებათ, უხვად მოედინება ათასობით დიდი თუ მცირე მდინარე, ღელე, შეიძლება თუ არა მათზე მიკროელექტროსადგურების აგება? რა თქმა უნდა, შეიძლება. საჭიროა ჩვენც მოვკიდოთ ხელი კიდევ ერთ ალტერნატიულ წყაროს — ჰელიოსისტემებს. შეიძლება თუ არა, ფართოდ გამოვიყენოთ თერმული წყლები? რა თქმა უნდა. ამას ყველაფერს, კი კარგი პროპაგანდა სჭირდება.

ამ წერილებში ჩვენ მარტო ენერგორესურსებით არ შემოვიფარგლებით. რუბრიკით გზას გავუხსნით ნიჭიერ გამომგონებლებს, რაციონალიზატორებს, რომელთაც ფრიად სამწუხაროდ, მეტად აკლიათ ყურადღება. არადა, დასანანია, რადგან ამ მხრივ, მართლაც ამოუწურავი რესურსები გვაქვს. სწორედ ამ მიზნით მოვიწვიეთ გაზეთში ჟურნალისტი **მერაბ ბერაძე.**

იაპონური სასწაული

— ყველამ კარგად იცის, თუ რაოდენ დიდი ინტელექტუალური ძალა და ენერგიაა ქართველ ხალხში, რა სიკეთის მოტანა შეუძლიათ ქართველ მეცნიერებს, გამომგონებლებს, რაციონალიზატორებს, ერთი სიტყვით, იმათ, ვინც უკვე შექმნა და ვინც 21-ე საუკუნის ტექნიკურ აზროვნებას უყრის საფუძველს. ამბობენ, შედარებები ზოგჯერ უფრო კარგად გამოხატავს იმას, რაზეც გინდა ყურადღება გაამახვილოო. ამ მხრივ ვფიქრობ, შესანიშნავი მაგალითია იაპონია, რომელიც ჩვენთვის ფრიად ნაცნობ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ქრონიკულ დეფიციტს განიცდის. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ უკიდურესი აღმოსავლეთის ქვეყანაში, რესურსები მართლაც დეფიციტია, ჩვენთან კი? და სწორედ ის არის გასაკვირი, რომ ეს დეფიციტი, თავისი ტვინისა და საოცარი შრომისმოყვარეობის ხარჯზე შეავსეს იაპონელებმა.

ეს ქვეყანა ტრადიციულად ითვლება უცხოური ტექნოლოგიების იმპორტიორად, მაგრამ ნაღდი აღმავლობა 50-70-იან წლებში დაიწყო, რის შედეგადაც გაჩნდა მცნება: „იაპონიის სალიცენზიო ფენომენი“. 1950-81 წლებში იაპონელებმა უცხოური ტექნოლოგიების 24.995 ლიცენზია შეიძინეს, რაზეც დახარჯეს 11.595 მილიონი დოლარი. ერთი სიტყვით, მათ კარგად აითვისეს მცნება: „რა საჭიროა ველოსიპედის გამოგონება, თუკი იგი ვიღაცამ უკვე შექმნა“. 1971 წელს ქვეყანაში ლიცენზირების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი ლიცენზირების გაყიდვით მიღებულ მოგებას ხუთჯერ აღემატებოდა. მაგრამ უკვე 1979 წელს ქიმიურ, გემთსაშენებელ და მეტალურგიის დარგებში გაყიდულმა ლიცენზიებმა გადააჭარბა გასავალს და მოგებაზე დაიწყო მუშაობა.

იაპონიის ასეთი წარმატება უპირველესად განაპირობა ქვეყნის საპატენტო პოლიტიკამ. მსოფლიოში სახელგანთქმული ფირმის „სონის“ პრეზიდენტის თქმით: „საპატენტო საქმეები მაღალი ხელმძღვანელების ხელშია, ეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაა“.

1985 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ფრიად უჩვეულო სიტუაცია შეიქმნა. იაპონურმა კომპანია „ხიტაჩიმ“ აშშ-ში მიიღო 730 პატენტი და გაუსწრო ამ სფეროში აღიარებულ ლიდერს „ჯენერალ ელექტრიკს“, რომელმაც მხოლოდ 713 პატენტის მიღება შეძლო. საკმარისია აღინიშნოს, რომ მსოფლიოში გამოგონებებსა და სასარგებლო მოდელებზე ყოველწლიურად შეტანილი განაცხადების 40 პროცენტი იაპონურ ფირმებს ეკუთვნით, რაც პირველობას უმკვიდრებთ ამ სფეროში.

აღბათ საინტერესოა, რამ განაპირობა ეს წარმატება. რასაკვირველია, იმან, რომ იაპონიაში ტექნიკური შემოქმედება მთელი საზოგადოების ყურადღების ცენტრშია და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მუდმივი ზრუნვითაა გარემოსილი. მაგალითად, ქვეყნის საპატენტო კანონის მიღების თარიღი — 1884 წლის 18 აპრილი, გამოცხადებულია ეროვნულ დღესასწაულად და აქ ფართოდ აღინიშნება „გამომგონებლის დღე“.

საგამომგონებლო საქმიანობას არეგულირებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების განვითარებული ინფრასტრუქტურა.

— საპატენტო უწყება;

— გამომგონებლობისა და ნოვატორობის ინსტიტუტი;

— საპატენტო ინფორმაციის ცენტრი;

— საპატენტო რწმუნებულების საზოგადოება;

— საპატენტო ასოციაცია, რომელშიც გაერთიანებულნი არიან წამყვანი ფინანსისტები და მეწარმეები;

— სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო ასოციაციის ჯგუფი.

გამომგონებლების სტიმულირებას ეწევა გამომგონებლობისა და ნოვატორობის ინსტიტუტი, რომელიც ეროვნული მასშტაბის კონკურსებს ატარებს.

სრულიად იაპონიის გამომგონებელთა კონკურსი ტარდება 1960 წლიდან და აქ წარმოდგენილი წინადადებების 65% წარმოებაში ინერგება. გამარჯვებულებს აჯილდოებენ იმპერატორის, პრემიერ-მინისტრის და სხვათა სახელობის პრიზებით. დაჯილდოების ცერემონიალი ფართოდ შუქდება სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით. დაჯილდოება ხდება სამეფო დინასტიის და მთავრობის წარმომადგენელთა დასწრებით...

1941 წლიდან ტარდება კონკურსი საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიურ პერსონალში, ეწყობა სპეციალური კონკურსები ბავშვთა შორის...

სტიმულირების სახელმწიფო სისტემასთან ერთად, რომელიც გულუხვად აჯილდოებს გამარჯვებულებს, მოქმედებს მძლავრი ფირმების მიერ გაღებული დახმარების მთელი სისტემა. მაგალითად, ფირმა „ხიტაჩის“ ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უკავია თანამშრომელთა მიერ წამოყენებული წინადადებების რაოდენობის მიხედვით, ყოველწლიურად აქ ფორმდება მილიონზე მეტი წინადადება და ავტორები ერთობ სოლიდურ პრემიებს იღებენ.

წლის საუკეთესო გამომგონებლისათვის დაწესებულია სამი პრემია: ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსი. სამკერდე ნიშანთან ერთად ოქროს პრემიის ლაურეატი მთელი წლის განმავლობაში იმავე პრივილეგიებით სარგებლობს, რითაც ფირმის უმაღლესი ხელმძღვანელობა. რა თქმა უნდა, იმასაც ვიტყვით, რომ ფირმაში უბრალო, ერთი შეხედვით არცთუ ისე მნიშვნელოვანი წინადადებებისა და იდეების რეგისტრაციაც ტარდება, რაც სათანადოდ ნაზღაურდება და წინადადების ავტორს შემდგომში მუშაობის სტიმულს აძლევს...

ამრიგად, იაპონიაში სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის არნახული ზრდა განაპირობა ერთის მხრივ სახელმწიფო საპატენტო სალიცენზიო პოლიტიკამ, მეორე მხრივ კი ფირმების ნოვატორული საქმიანობის სტიმულირებამ და სწორედ ამ ორი სისტემის ოპტიმალურად შეთანაწყობამ გაიყვანა ქვეყანა პროგრესის გზაზე.

მერაბ ბერაძე.

პარლამენტის სადაგი დღეები

თურქი განმანათლებლები თუ ისლამური ფუნდამენტალისტები?..

საზოგადოებაში არ ცხრება ვნებათაღელვა ეგრეთ წოდებული თურქული უნივერსიტეტის გარშემო. ბაზალეთის ტბაზე ასაშენებელ კერძო უნივერსიტეტს, რომლის აქციების 85 პროცენტი ორ თურქულ ფირმას ეკუთვნის, 7,5-7,5 პროცენტი საქართველოს განათლების სამინისტროს და დუშეთის გამგეობას, ამ საქმის მესვეურები ხან საერთაშორისოს უწოდებენ, ხან თურქულს, ხან თურქულ-ქართულს, ხან სუფთა ქართულს, ხან კიდევ შავიზღვისპირა ქვეყნებისას.

ჩნდება უამრავი უპასუხო კითხვა: რა მოტივი ამოძრავებს ორ თურქულ ფირმას თავისი კაპიტალი დააბანდოს ისეთ წამგებიან საქმეში, როგორიც საუნივერსიტეტო განათლებაა, რატომ აძლევდა ხელს საქართველოს მხრივ რამდენიმე დაინტერესებულ პირს ასეთი სახის გარიგება. თუ ჩვენი განათლების სისტემის რეორგანიზაცია გვინდა, რატომ მაინცდამაინც თურქების დახმარებით?

იქნებ თურქების წინადადება მოგვეწონა, — სანაცვლოდ თურქეთში გაგიხსნით ქართულ სკოლებსო. რა შეღავათია გავხსნათ ქართული სკოლები ისეთ ქვეყანაში, რომელსაც კონსტიტუციაში უწერია, თურქეთში თურქის გარდა სხვა ეროვნება არ ცხოვრობსო?

საქართველოში ყოველთვის იყო რჯულთშემწყნარებლობა. ჩვენ ვამაყობთ ამით. ჩვენში არასოდეს არცერთი რელიგია არ იდევნებოდა, მაგრამ ისლამურ ფუნდამენტალისტებს დღეს თვით თურქეთშიც არა აქვთ მხარდაჭერა. იქნებ სწორია მითქმა-მოთქმა და ამ ორი ფირმის უკან მართლაც საეჭვო ხალხი დგას? ამ პოლემიკამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო. გაისმის ანტითურქული და ანტიისლამური მოსაზრებებიც, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს საქართველო-თურქეთის ურთიერთობას. მითუმეტეს, როცა თურქეთის ხელისუფლება არც ინიციატორია და არც მოწინააღმდეგე უნივერსიტეტის შექმნისა. ეს კერძო ინიციატივაა.

ერთი სიტყვით, უამრავი უპასუხო კითხვაა. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად თბილისში იმართება ფართო წარმომადგენლობითი შეხვედრები. ამაზე იყო მსჯელობა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტშიც, როცა განიხილეს კანონპროექტი „უცხოეთის სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურის ცენტრებთან და დაწესებულებებთან პარტნიორულ ურთიერთობების სახელმწიფოებრივი რეგულირების შესახებ“.

განხილვაში მონაწილეობდა ინტელიგენციის, საზოგადოებრიობის ფართო წარმომადგენლობა. კანონპროექტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე რომან მიმინოშვილი.

მან აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში ფართო გასაქანი მიეცა სამეცნიერო, სასწავლო თუ სახელოვნებო დაწესებულებების, ცალკეულ მოღვაწეთა პირად ინიციატივას უცხოელ პარტნიორებთან კონტაქტების დამყარების თაობაზე. სახელმწიფოს ჩარევა-ზედამხედველობა, დახმარება შემთხვევითია, არაორგანიზებულია. პრიორიტეტული მიმართულებანი განისაზღვრება უფრო პირადი კონტაქტებისა და ინტერესების გათვალისწინებით, ვიდრე საკითხის მნიშვნელობით.

კანონპროექტში აღნიშნულია, რომ ნებისმიერი საგანმანათლებლო ან კულტურული დაწესებულების გახსნა საქართველოს ტერიტორიაზე ამიერიდან პარლამენტის მიერ უნდა იყოს დამტკიცებული.

განხილვაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ადგილი დაეთმო ზემოთ ხსენებული თურქული უნივერსიტეტის საკითხს.

იყო ცხარე კამათი, დავა, რაღაც-რაღაცეების გათვლა, რომელიც აღბათ, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გამართლდება.

— ჩვენი მეგობარი ქვეყანაა გერმანია, — თქვა რომან მიმინოშვილმა, — მაგრამ გერმანიას არ უკადრებია ჩვენთვის თავისი ფინანსებით გაეხსნა გერმანული უნივერსიტეტი კი არა, თუნდაც მხოლოდ სკოლა. თურქეთი არ არის ის ქვეყანა, რომელსაც შეუძლია განათლების დონით ჩვენ გვიპატრონოს. რის საფუძველზე გამოეყო 50 ჰექტარი მიწა უნივერსიტეტს ბაზალეთის ტბაზე, მაშინ, როცა ჯერ მასზე ლიცენზია გაცემული არ იყო? ქ. ი. მინისტრთა კაბინეტის მაშინდელი დადგენილებით არარსებულ უნივერსიტეტს გამოეყო ადგილი ისეთ უნიკალურ ადგილზე, როგორიც ბაზალეთის ტბაა. და ეს მოხდა არქეოლოგიური ძეგლის დასკვნის, გეოლოგიური გამოკვლევის გარეშე. ყურად არავინ იღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის რექტორთა საბჭოს უარყოფითი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, ასევე უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ მწერალთა კავშირს, მეცნიერებათა აკადემიას, ჩვენს ინტელიგენციას.

სხვა მიზეზებზე რომ არაფერი ვთქვათ, ბაზალეთის ტბა, არაგვის ხეობა ვერ გაუძლებს საუნივერსიტეტო ქალაქს 10-15 ათასიანი მოსახლეობით.

სამუდამოდ დაილექება მოსახლეობაში არაქართული ელემენტი. დავუშვათ, — აღნიშნა რომან მიმინოშვილმა, — მხოლოდ ქართული წარმოშობის სტუდენტები ჩამოვიდნენ. ჩვენ ეს მაინც არ გვაძლევს ხელს. არაგვის ხეობაში შეიქმნება ტურისტული მარშრუტების არასაჭირო კონცენტრაცია. მოსახლეობა ნელ-ნელა ჩამოვა მთიდან და დასახლდება ბაზალეთზე. დაიცლება მთელი ხეობა. არაგვის ხეობა არ გვექნება. დღეს გვიჭირს და ამით სარგებლობენ ჩვენი პარტნიორები

აღნიშნული საკითხისადმი ასევე, მკვეთრად უარყოფითი პოზიცია გამოხატეს პროფესორებმა ნიკო ხატიაშვილმა, ნათელა ვასაძემ, დავით გეგეშიძემ, აკადემიკოსებმა თამაზ გამყრელიძემ, ვალერიან მეტრეველმა, ნაპოლეონ ქარქაშაძემ, პარლამენტარმა ნესტან კირთაძემ და სხვებმა.

...ამბობენ რომ ბაზალეთის უნივერსიტეტის პროექტით, ამ ტერიტორიაზე ოთხი ულამაზესი მეჩეთი უნდა აშენდესო (ნათელა ვასაძე);

...ინტელექტით ჩვენ ნებისმიერ ქვეყანას შევეჯიბრებით. თურქებმა რომ გაგვანათლონ, სამაგისო არაფერი გვჭირს. თუ ჩვენთვის ხელის გამართვა სურთ, ეს თანხა —60 მილიონი დოლარი ეკონომიკაში დაგვიბანდონ (ნაპოლეონ ქარქაშაძე);

...ზელა გომელაურის თქმით, თურქული ფირმები ცდილობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის როინ მეტრეველის გადაბირებას. მათ ეს ვერ მოახერხეს, მაგრამ თავიანთი სითავხედით ის კი შეძლეს, განათლების სამინისტროსთვის ძალით „გამოეგლიჯათ“ ლიცენზია.

განათლების მინისტრმა თამაზ კვაჭანტირაძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად ზეწოლისა, იგი 18 თვის მანძილზე ხელს არ აწერდა ხელშეკრულებას, მაგრამ ამ ხნის მანძილზე წესდება ჩვენს სასიკეთოდ შეიცვალაო. ამასთან, „არ შეიძლება თურქეთი შენ ნავთობსადენის გაყვანაში გეხმარებოდეს, პურით გამარაგებდეს და განათლების სფეროში უთხრა, — გაჩერდიო“. აი ეს იყო ამოსავალი, — თქვა მან.

ითქვა, რომ ორი ავტორიტეტშელახული თურქული ფირმის უკან დგანან ისლამური ფუნდამენტალისტები, ადამიანები, რომლებიც საკუთარ სამშობლოშიც კი იდევნებიან. მათ დიდძალი ლიტერატურა ჩამოაქვთ საქართველოში და ჩაფიქრებული აქვთ სახიფათო გეგმა, რომლის განხორციელებასაც მშვიდობიანი გზით, თითქოსდა საუნივერსიტეტო განათლებით აპირებენ.

როგორც ყოველთვის, ამ მოსაზრებების გაბათილება სცადა პროფესორმა გურამ მამულიამ. თქვა, რომ არქეოლოგიური ექსპედიციის დასკვნაც არსებობს, მიწაც კანონიერად იყო გამოყოფილი. საერთოდ, საერთაშორისო უნივერსიტეტებს ყველა ქვეყნისთვის სიკეთე მოუტანია და იმას, რასაც თქვენ კადრულობთ, თვით ჰიტლერი და სტალინიც არ იკადრებდნენ (?!).

განხილვისას აღინიშნა, რომ პარლამენტის დადგენილების თანახმად, „ბაზალეთის უნივერსიტეტის“ მესვეურებმა პარლამენტში უნდა შეიტანონ წინადადება ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით.

საკითხი მართლაც სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს. როგორც პრესიდან გახდა ცნობილი, სტუდენტები მასობრივი საპროტესტო აქციებით იმუქრებიან. საზოგადოებაში დიდი ვნებათა ღელვაა.

საბოლოო სიტყვას, აღბათ, მაინც პარლამენტი იტყვის.

მზია გელენავა.

ოფიციალური ინფორმაცია

დაინიშნა სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 დეკემბრის № 913 დადგენილებაში შეტანილია ცვლილება. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის სადელიმიტაციო და სადემარკაციო სამთავრობო კომისიის თავმჯდომარედ გიორგი გორგილაძის ნაცვლად დაინიშნოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ უკლება.

წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ

ცნობილ იქნეს წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდის წინადადება და ტაძრის მშენებლობის გაიაფებისა და დაჩქარების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდს გადაეცეს ბუნებრივი მოსაპირკეთებელი მასალის სარაჩლოს ტუფისა და სადახლოს მარმარილოს კარიერები სააქციო საზოგადოების „ბოლნისის ტუფის“, სადახლოს „მარმარილოს“ და საგარეჯოს „საშენმასალების“ (აგურის ქარხანა) 1996 წლის 6 მარტის მდგომარეობით სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი ძირითადი ფონდები.

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, სახელმწიფო ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროებს მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად დაევალოთ უზრუნველყონ აღნიშნული კარიერებისა და სააქციო საზოგადოებების 1996 წლის 6 მარტის მდგომარეობით სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ძირითადი ფონდების გადაცემა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდისათვის.

გარდაბნის რაიონის ზემო სამგორის სარწყავ სისტემაში წარმოქმნილი მეწყერული პროცესის სალიკვიდაციო ღონისძიებისა და ჟინვალ-თბილისის წყალსადენის ავარიული მონაკვეთების აღდგენის შესახებ

გარდაბნის რაიონის ზემო სამგორის სარწყავ სისტემაში წარმოქმნილი მეწყერული პროცესების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისა და ჟინვალი-თბილისის წყალსადენის ავარიული მონაკვეთების აღდგენის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ზემო სამგორის სარწყავ სისტემაში მეწყერული პროცესების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის დაევალა გამონახოს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის დაფინანსების საშუალება 1 მილიონ 100 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ასევე დაევალა აწარმოოს მსოფლიო ბანკის მისიებთან მოლაპარაკება მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტისათვის მიმდინარე წელს აღნიშნული თანხების აღდგენის მიზნით და წარმოადგინოს შესაბამისი წინადადება;

— 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს ზემო სამგორის მაგისტრალური არხის საპროექტო პარამეტრებში აღდგენის კაპიტალური ღონისძიებებისათვის საჭირო სახსრების გამოყოფა.

— მიმდინარე წლის 20 ივნისამდე საავარიო-აღდგენითი სამუშაოების გამო ჟინვალი-თბილისის წყალსადენის გამორთვის პერიოდში თბილისის წყალსაცავიდან სარწყავად დაგროვებული 20 მილიონი კუბური მეტრი წყალი გამოყენებული იქნება თბილისისა და გარდაბნის რაიონის მოსახლეობის წყლით მომარაგებისათვის.

ეროვნული უშიშროების საბჭოსთან საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის საუწყებათშორისო მუდმივი კომისიის შექმნის და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტის შესახებ

საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ამოცანათა გადაჭრის, სამინისტროების, უწყებებისა და ხელისუფლების ყველა რგოლის საქმიანობის კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან შეიქმნა საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის საუწყებათშორისო მუდმივი კომისია საბჭოს წევრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის ხელმძღვანელობით.

„აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 1996 წლის 15 მაისის კანონის თანახმად შემცირდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 650 საშტატო ერთეული შესაბამისი დაფინანსებით და გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტისა და დაქვემდებარებული ორგანოების შესაქმნელად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტის შექმნასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს დაემატა მინისტრის მოადგილის — საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის საშტატო ერთეული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტისათვის დაკისრებულ ამოცანათა შესასრულებლად შეიქმნა ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროებში საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტები, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში — ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სამმართველო, სამხარეო შინაგან საქმეთა სამმართველოებში, საქალაქო შინაგან საქმეთა სამმართველოებში — საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის შტაბები, საქალაქო და რაიონულ შინაგან საქმეთა განყოფილებებში — საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის განყოფილებები, რომლებიც იქნებიან ორმხრივ დაქვემდებარებაში მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სათანადო ორგანოებისადმი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარში შეიქმნა სწრაფი რეაგირების სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფები არსებული შტატების ფარგლებში.

საქინფორმი.

სარედაქციო ფოსტიდან

ვაუჩერს ვადა ხომ არ გავუგრძელოთ?

საქართველოში ვაუჩერის დარიგება, ისევე როგორც სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია, ნაადრევად და მოუმზადებლად დაიწყო. პროცესიც კანონზომიერად განვითარდა, ვაუჩერი მისი ეკონომიკურ არენაზე გამოჩენისთანავე თავისუფალი სპეკულაციის ობიექტი გახდა.

საპრივატიზაციო ბარათების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მოსახლეობა დიდი ინტერესით არ შეხვდა ამ კამპანიას, რაც პირველ რიგში გამოწვეულია იმით, რომ თავიდანვე არ გვქონდა ზუსტი, გააზრებული კონსტრუქციული სამოქმედო პროგრამა.

საყურადღებოა, რომ ქვეყანაში საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მთლიანად მოხსნის პრივატიზაციის განხორციელების პროცესის თანმხლებ წინააღმდეგობებს, შექმნილი არ არის, ხშირად მიღებული დადგენილებები და სახელმძღვანელო აქტები ეწინააღმდეგება, ზოგჯერ გამორიცხავს კიდეც, ერთმანეთს.

ნუ მიწყენენ ქონების მართვის სამინისტროს ხელმძღვანელები, მაგრამ ისინი ყველაზე უფრო არსებითს, — ფაქტებისა და მოვლენების გამოკვეთის, გაანალიზების არცთუ ისე რთულ ხელოვნებას ვერ დაეუფლნენ. სამინისტრო პრესაში აქვეყნებს 33-34-ე აუქციონის ნუსხას და იქვე აცხადებს, რომ „საწესდებო კაპიტალისა და ორგანიზაციული საკითხების დაზუსტებასთან დაკავშირებით ამოღებულ იქნეს № 29, № 31 სპეციალიზებული საბარათო აუქციონების ნუსხიდან განაცხადების მიღება“ და მოითხოვს შეტანილი საპრივატიზაციო ბარათების დაბრუნებას. ასეთი ბედი ეწია ს/ს საზოგადოება „ქისართყელას“ (თრიალეთმში), ფოთის წისქვილქარხანას, „ქუთმშენი“, თბილისის „ელექტროავტომატს“, ს/ს საზოგადოება „აჭარას“. ასეთი ინფორმაციები მეტნაკლებად მოქმედებს ადამიანთა ფსიქოლოგიაზე და იწვევს დაბნეულობას.

ადგილობრივ მართველობაში დამკვიდრებული ბიუროკრატიული ბარიერების წყალობით ხშირად მოქალაქეს საპრივატიზაციო ბარათების მისაღებად იმდენი ინსტანციის გავლა სჭირდება, რომ იძულებულია სხვა უფრო იოლი გზა აირჩიოს. ხდება დანაშაულიც, იმათ, ვინც ვაუჩერის მისაღებად სახლმმართველობების დაუდევრობით ძირითად სიაში არ შეიყვანეს, რაიონის ტერიტორიული კომისიის წარმომადგენლები გზავნიან „თბილსისტემოტექნიკაში“, ქალაქის მთავარ სამმართველოში. ვინაიდან ამ საკითხებზე „თბილსისტემოტექნიკა“ ან სამმართველო ხშირად ინფორმირებული არ არის, მოქალაქეებს უკან აბრუნებენ. ეს ბუნებრივია იწვევს უკმაყოფილებას და ზოგ შემთხვევაში კონფლიქტურ სიტუაციებსაც კი.

ძვირი დრო იკარგება სახლმმართველობებსა და ბანკის ფილიალებში მოქალაქეთა გვარების დასაზუსტებლად. ასევე კომისიას არ აქვს სახლმმართველობებიდან პერიოდულად შემოსული დამატებითი სიების (ძირითად ან ადრე წარდგენილ დამატებით სიებთან) შედარების საშუალება, მათი შემოწმებული და დაზუსტებული სახით საქალაქო კომისიისათვის წარსადგენად, რაც კიდევ უფრო ართულებს დედაქალაქის მცხოვრებთა პრობლემების გადაწყვეტას.

ფიქტიურმა ქორწინებებმა და განქორწინებებმა, ახლო ნათესავების უმიზეზოდ ჩამოყვანამ და ჩაწერამ, სახელმწიფო და კომერციული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პარტიზანულად გახსნამ, კერძო და კომერციულ სტრუქტურებში ქალაქში ჩაუწერელ პირებზე საპასპორტო რეჟიმის მოშლამ, ხელი შეუწყო ერთ სულზე ორი და მეტი ვაუჩერის გაცემის შესაძლებლობასაც.

შედეგიც სახეზეა, სტატისტიკის მიხედვით, თბილისის მოსახლეობის რაოდენობა განისაზღვრა 1345000 კაცით, რეალურად კი გასაცემია 1252267 ვაუჩერი, რაიონის გამგეობების მიერ მოწოდებული სიები მოქალაქეთა რაოდენობის შესახებ, რადიკალურად განსხვავდება სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებისაგან.

გასულ პერიოდში კომპიუტერში შესატანად მომზადდა 1385236 მოქალაქის მონაცემები. აქედან 30000-მდე, ოპერატორების შეცდომის გამო, განმეორებით შეიტანეს სიაში, 101230 კაცი ორჯერაა მოხვედრილი ამ ნუსხაში, საბანკო დაწესებულებების დოკუმენტაციაში შეტანილია 1252267 კაცის მონაცემი, აქედან 81217 ცდომილია.

ძირითადი სიები საბანკო დაწესებულებებს 1995 წლის პირველ მაისს გადაეცა. ამის შემდეგ დამატებით მომზადდა 342407 მოქალაქის სია, აქედან 131000-ის განმეორებით დამატებით სიებში შეტანაზე ტექნოლოგიური პროცესის თითოეულ რგოლში (ინფორმაციის შეტანა, კონტროლი, ანალიზი, შედარება ინტეგრირებულ ბაზასთან, ბეჭდვა) დამატებით დაიხარჯა 13175 ლარი.

დამატებითი ინფორმაციის დამუშავების დროს ასეთი გაუგებრობები ძირითადად სახლმმართველობებიდან წარმოდგენილმა ინფორმაციის დაბალმა ხარისხმა გამოიწვია, გამოტოვებულია კორპუსები და სახლები, ინფორმაცია შეუვსებელია და უხარისხოა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ნაძალადევის რაიონში. ძირითადი სიების დაბეჭდვის შემდეგ კომპიუტერში შეტანილი იყო მოსახლეობის საერთო რაოდენობის 60 პროცენტი. რაიონში განმეორებით მომზადებულია 23000 კაცის სია (ეს „სარეკორდო“ მაჩვენებელია).

თითოეული დამატების დამუშავებას, კონტროლს, შედარებას თბილისის ბაზებთან 7-8 საათი სჭირდება. ცხრა დამატებითი სიისათვის ეს შეადგენს 72 მანქანასაათს. მისი ჯამური ხარჯი დაახლოებით 360 ლარია. ხარჯი სტატისტიკის კომიტეტშიც ანალოგიურია.

დღეისათვის თბილისში გატაცებული და უგზოუკვლოდ დაკარგულია 23400-მდე ვაუჩერი. მუშაკებს, ვინც ვერ უზრუნველყო ბარათების დაცვა, ზარალის ანაზღაურება ბარათის ნომინალური ღირებულების სამმაგი რაოდენობით ეკისრებათ. ასევე პასუხისმგებელია პოლიციაც, ბანკის მოხელეც, ტერიტორიული კომისიაც. ჯერჯერობით დამნაშავეთა მიმართ მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მუშაკები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავებული ამ ღონისძიების ორგანიზებულად წარმართვასთან, დამეთანხმებიან, რომ საპრივატიზაციო ბარათების სისტემის შემოღება რთული და შრომატევადი პროცესია. მას დიდი, აუჩქარებელი და გონივრული მიდგომა სჭირდება, რაც სამწუხაროდ, ზოგი რაიონული გამგეობის ხელმძღვანელმა ვერ გამოავლინა. საეჭვოა პირველი ივლისისათვის საპრივატიზაციო ბარათების მოქმედების ვადის დამთავრება რეალური იყოს. ვაუჩერს ვადა ხომ არ გავუგრძელოთ?

ოთარ თოლორაია,
თბილისის მერიის საპრივატიზაციო ბარათების აღრიცხვისა და განაწილების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

მეცნიერება

საშვილიშვილო საქმე გაკეთდა

მონოგრაფია „ჩვენებურების ქართულის" საკითხზე

ასლან აბაშიძის ფონდმა ბათუმში გამოსცა შუშანა ფუტკარაძის შრომა „ჩვენებურების ქართული", რომელმაც გამოსვლისთანავე მიიქცია ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება. როგორ აფასებს ამ წიგნს ენათმეცნიერება, რა ადგილს დაიკავებს იგი ჩვენი ენის დიალექტების შესწავლაში და რითი არის შესანიშნავი? — ამ კითხვებით მიმართა ჩვენი გაზეთის თანამშრომელმა ცნობილ ენათმეცნიერს, პროფესორ ალექსანდრე ღლონტს.

პროფესორი შუშანა ფუტკარაძე ჩვენში სახელმოხვეჭილი მეცნიერია, იგი ეკუთვნის ქართველ ლინგვისტთა იმ ნიჭიერ თაობას, რომელმაც სამოღვაწეო ასპარეზი მოიპოვა 80-იან წლებში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ენისა და მისი ადგილობრივი დიალექტების შესწავლაში. თავად მოღვაწეობს ბათუმში. დაიბადა მაღალმთიან აჭარაში, შუახევის რაიონის სოფელ ღომინაურში, დიდი ხანია იკვლევს ქართული ენის ლექსიკის, სტრუქტურისა და დიალექტების თავისებურებათა საკითხებს, უმაღლეს სასწავლებლებში ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას, გამოქვეყნებული აქვს საინტერესო შრომები, რომელთა შორის საეტაპო მნიშვნელობისაა „ჩვენებურების ქართული", ასლან აბაშიძის ფონდმა რომ მიაწოდა მკითხველს. ეს არის ფართო პლანის ლინგვისტური მონოგრაფია თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველების შესახებ. თურქეთის რესპუბლიკაში კი ცხოვრობს რამდენიმე მილიონი ქართველი. ყველა მათგანს უყვარს მშობლიური სასაუბრო ენა, იცავს, სათუთად უვლის და უფრთხილდება მას, თუმცა აქ ქართული სკოლები ან გამოცემები არა აქვთ. ამიტომ ამ სხვა ენობრივ გარემოში მოქცეული თავისთავადი ქართული დიალექტის ვითარების, ლექსიკისა და სტრუქტურის მეცნიერულად შესწავლას განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველოლოგიის სრულყოფისათვის.

წიგნში, რომლის რედაქტორია ჩემი მეგობარი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი აზიზ ახვლედიანი, ჩვენს წინაშე გადმოშლილია თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ყოფა-ცხოვრების რეალური სურათები, მეტყველების ვითარების, მოსახლეობის საქმიანობის, სულიერი და მატერიალური ცხოვრების მოვლენები, რასაც ქართველი მკითხველი აქამომდის მეტად ბუნდოვნად იცნობდა. ამიტომ „ჩვენებურების ქართულის" გამოცემა ღირსშესანიშნავი მოვლენაა ჩვენი ერის მთელ კულტურულ ცხოვრებაში. ავტორს, გამომცემლებს, ყველა მათ, ვინც ხელი შეუწყო ამ წიგნის შექმნასა და პუბლიკაციას, მადლიერი მკითხველის გულითადი მადლობა ეკუთვნის. „მოგზაურობისას და ხალხური მასალების შეგროვებისას, — ნათქვამია ავტორის წინათქმაში, — თანმხლები სიძნელეების დაძლევაში სულის სიმტკიცესა და მხნეობას მანიჭებდნენ ჩვენი დიდი წინაპრების — გრიგოლ ხანძთელის, მტბევარების, ოპიზარების, იშხნელების, ნიკო მარის, ექვთიმე თაყაიშვილის... ნათელი აჩრდილები... ხუთი წლის მანძილზე სათუთად ნაგროვები ხალხური მარგალიტები, ოპიზარისა და ოშკელების შთამომავალთა ბაგეებზე დაკრეფილი ქართული სიტყვები დღეს მზის სინათლეზე გამოდის, დედასამშობლოში თვალს ახელს პირველად".

შუშანა ფუტკარაძე
ჩვენებურების ქართული

ცნობილია, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველების შესწავლას საფუძველი დაუდო ნიკო მარმა. ეს მხარე პირველად მოიარა და მიმოიხილა 1904 წელს, ხოლო შემდეგ მოგზაურობის შედეგები ალბეჭდა განთქმულ დღიურებში, რომელიც გამოაქვეყნა 1911 წელს (ერთვის გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" გამოცემას), რამაც ქართულ მეცნიერებაში მთელი ეპოქა შექმნა. ნ. მარმა მაშინ შეძლო თურქეთის იმ პროვინციებში მოგზაურობა, სადაც ქართველობა კომპაქტურად სახლობდა. აღწერა ხალხური მეტყველება, ყოფა, ეთნოგრაფიული წეს-ჩვეულებები, ზეპირშემოქმედების ნიმუშები და წარმოაჩინა იმერხეული დიალექტის ენობრივი პროფილი. ამის შედეგად ქართულ დიალექტოლოგიაში გამოიკვეთა იმერხეული დიალექტის ფენომენი, რაც დღემდისაც მხოლოდ ნ. მარის მასალების მიხედვით ისწავლება ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში. ამჟამად სიამოვნებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ნ. მარის მასალას ავსებს და ემატება შ. ფუტკარაძის მიერ მოპოვებული მდიდარი ინფორმაცია. შუშანა ფუტკარაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ მიყვებოდა ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის ნაკვალევს. ახალგაზრდა მეცნიერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მოახერხა უდიდესი ტვირთის აწევა. ახალ ვითარებაში ჩვენი ცოდნის სრულიად ახალი ცნობებითა და დაკვირვებებით შევსება-გამდიდრება.

შუშანა ფუტკარაძის მონოგრაფია მძიმე შრომისა და რუდუნების შედეგია. თურქეთის რესპუბლიკაში ნათესავების დახმარებით და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა ხელშეწყობით მან შეძლო საქართველოს ისტორიის მხარეების შემოვლა და იქ ძვირფასი მასალების შეკრება. შუშანა ფუტკარაძე პირველი ბედნიერი მეცნიერია, რომელიც ჩვენს თანამემამულეებს ესტუმრა თურქეთის იმისთანა დასახლებულ პუნქტებში, სადაც ქართველ სწავლულს არასოდეს ფეხი არ დაუდგამს. შეკრებილია ფასდაუდებელი მასალა, ლექსიკა, ლეგენდა-გადმოცემები, ფოლკლორული ძეგლები, უნიკალური ტექსტები. ათობით სოფელში გამოვლენილია ასობით ნიჭიერი მთქმელ-ინფორმატორი, რომლებიც მოკრძალებითა და სიყვარულით იხსენიებდნენ დედასაქართველოს. შუშანა ფუტკარაძემ რაღაც 3-4 წელიწადში შეასრულა ისე დიდი და რთული სამუშაო, რასაც მთელი ინსტიტუტების კოლექტივების ძალ-ღონე სჭირდება, ამიტომ მისი გარჯა დიდად დასაფასებელია.

მან იმოგზაურა და ძვირფასი მასალები ჩაიწერა ბურსის, იმერხევის, ინეგოლის, ანკარის, სტამბოლის, ღივანის, ბურჩხის, ბურღულის, ზემო მაჭახლის ვილაეთებისა და რაიონების იმისთანა ისტორიულ სოფლებში, როგორიცაა თუფეჩრი, ქონაქი, ეღებეი, მეზითი, ტაო, ფაცა, ადაფაზარი, ქუაბაგი, კოკლევი, დასმობი, ჩიხორი, თეთრაკეთი, შოლტიხევი, ბაზგირეთი, წითიღეთი, მაჩხატეთი და სხვა. ჩანაწერებში დაცულია კუთხეთა და მთქმელთა მეტყველების კოლორიტი. ტექსტებში გამოირჩევა მდიდარი ლექსიკა, გაბმული მეტყველების ნიმუშები, ხალხური ლექსების, ზღაპრების, თქმულება-გადმოცემების უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ვარიანტები, რომელთა მეტი ნაწილი პირველადაა დაფიქსირებული და ჩართული მეცნიერულ კვლევა-ძიებაში. ფიქსირებულ ტექსტებიდან კარგად ჩანს, თუ უცხოურენოვან გარემოცვაში საუკუნეების განმავლობაში როგორ შენახულა ქართული ენა და ზეპირპოეტური სიტყვიერება, როგორ გარჩეულა კილოები, თქმები, იდიოლექტთა კოლორიტი.

თავისი მეცნიერული ღირსებით მაღალ შეფასებას იმსახურებს ლექსიკური მასალა, რომელიც ადგილებზეა შესწავლილი და დამოწმებულია ტექსტებში. წიგნის ძირითადი ნაწილი უჭირავს ლექსიკონს, რომელშიაც შეტანილია ათასობით უცნობი ლექსიკური ერთეული. გაცოცხლებული და პირველად განმარტებულია ასობით ობოლი სიტყვა, რომელიც იმერხეულ მეტყველებაშია შემორჩენილი. ეს მეცნიერებისათვის ფრიად საშური მონაპოვარია. ავტორი გვაუწყებს, რომ „სალექსიკონო ერთეულთა დამუშავება, ახლის ძიება გრძელდება და ჩაფიქრებულია ცალკე წიგნად".

ავტორი სიამოვნებით აღნიშნავს მოგზაურობისას მათი მასპინძლების სტუმართმოყვარეობას. ესენი იყვნენ გულითადი, სიკეთით სავსე ადამიანები

ამასთან ერთად ავტორი არ ივიწყებს იმ ადამიანთა ღვაწლსაც, ვინც მას ჩააგონეს საშვილიშვილო საქმისათვის ხელის მოკიდება და წარმატებით განხორციელება. ამ ადამიანთა შორის ერთ-ერთი მეც ვიყავი, რომელსაც ყოველთვის მჯეროდა, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერი გადალახავდა მძიმე დაბრკოლებებს, რომლებიც წინ ელობებოდა და თავისი მეცნიერული მიღწევებით გაგვახარებდა. ჩემი იმედი გამართლდა.

შუშანა ფუტკარაძემ საშვილიშვილო საქმე გააკეთა. მისი ფუნდამენტური შრომა განძია ჩვენი ეროვნული მეცნიერების საუნჯეში.

ინტერესით ველოდებით მონოგრაფიის მეორე წიგნს, რომელიც ეძღვნება სამხრეთ-დასავლური დიალექტების თავისებურებებს ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით.

ალექსანდრე ღლონტი.

ახალგაზრდობა — მშვიდობიანი კავკასიისათვის

იმედი

ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტში შემუშავდა პროგრამა-პროექტი, სახელწოდებით „უკონფლიქტო კავკასია" (გათვლილია ოთხ წელიწადზე), რომელიც დაეფუძნა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას „მშვიდობიანი კავკასია" და ჩვენი ქვეყნის სამშვიდობო სახელმწიფო პოლიტიკას.

დეპარტამენტის დელეგაცია ეწვია ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს: დაღესტანს, ინგუშეთს, ყაბარდო-ბალყარეთს, ყარაჩაი-ჩერქეზეთს. ვიზიტების დროს წარმოებდა მოლაპარაკება ამ რესპუბლიკების აღნიშნულ პროგრამაში ჩართვის თაობაზე. ეს იდეა თვენახევრის წინათ დაიბადა. პოლიტიკოსების ინიციატივის (იგულისხმება „მშვიდობიანი კავკასია") განხორციელება ახალგაზრდებმა ითავეს, რადგან, საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ნიკო ნიკოლოზიშვილის თქმისა არ იყოს, ეს ის გამოუყენებელი რეზერვია, რომელსაც შეუძლია არასტანდარტული მეთოდებით მუშაობა და უკეთესი შედეგების მიღწევაც.

31 მაისიდან 2 ივნისამდე დეპარტამენტმა მოაწყო დამფუძნებელი კონფერენცია, რომელიც მიზნად ისახავდა თანამშრომლობის საფუძვლის ჩაყრას, პროგრამის განხორციელების მექანიზმის დახვეწასა და კონტაქტების გაღრმავებას. კონფერენციაში მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის, ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ანალოგიური სამსახურების წარმომადგენლები. სამწუხაროდ, რუსეთში მოახლოებული საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის მზადების გამო, ვერ მოხერხდა ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკათა წარმომადგენლების დასწრება.

პროექტი საინტერესო ღონისძიებებს ითვალისწინებს. მაგალითად, დაგეგმილია კავკასიელთა ერთობლივი ალპინისტური ლაშქრობა იალბუზზე, სადაც აღიმართება ყველა მონაწილე სახელმწიფოსა თუ რესპუბლიკის დროშა. მეორე ეტაპი იქნება საერთო კავკასიური ექსპედიცია ჰიმალაიში, რომლისთვისაც სპეციალურად მუშავდება ახალი მარშრუტი, ამის განხორციელება კი, ყოველთვის მთელ მსოფლიოში ისტორიულ მოვლენად აღიქმებოდა. ეს, თავის მხრივ, ჩვენს რეგიონს, მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოაქცევს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ღონისძიება ძვირადღირებულია (180 ათას დოლარს საჭიროებს), მაგრამ კავკასიის შემაკავშირებელი ისეთი ორგანიზაციის შექმნა, როგორიც ახალგაზრდული საერთაშორისო ფონდია (მის მზრუნველთა საბჭოში სულ მალე რეგიონის ყველა ქვეყნის პირველი პირები შევლენ) ყველა პრობლემის გადაჭრის გარანტია.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა თავიანთი ქვეყნების აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისადმი, რომელშიც მხარი დაუჭირეს საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ პროექტს და საჭიროდ მიიჩნიეს მისი დაუყოვნებლივ ხორცშესხმა, რაშიც თავისი წვლილი მთავრობებმაც უნდა შეიტანონ.

დამფუძნებელი კონფერენცია ის პირველი ნაბიჯია, რომელმაც დასაბამი უნდა მისცეს უკონფლიქტო კავკასიას.

ბექა ჭედია.

ხიდები

ქართველი ეკრანის ოსტატები სომხეთში

ერევანი. (11 ივნისი. (იტარ-ტასს-საქინფორმი). ერევანში გაიხსნა ქართული კინოს დღეები. იგი დაემთხვა მსოფლიო კინემატოგრაფის დიდ იუბილეს, განაცხადა სომხეთის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ სერგო ისრაელიანმა. მრავალი წლის შესვენების შემდეგ აქ ჩამოვიდნენ სოფიკო ჭიაურელი, ლანა ღოღობერიძე, ელდარ შენგელაია, რეზო ჩხეიძე, ნანა ჯანელიძე, ქართული ეკრანის სხვა აღიარებული ოსტატები.

ფესტივალი აჩვენებს ქართული კინემატოგრაფის განვითარების გზებს, მხატვრული ძიების მიმართულებებს, თქვა რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ელდარ შენგელაიამ.

მსახიობი სოფიკო ჭიაურელი დარწმუნებულია, რომ ქართული ეროვნული კინემატოგრაფის აღორძინება წინ არის. მან თქვა, რომ გადაწყვიტა შეასრულოს როლი ერთობლივ ქართულ-სომხურ ფილმში.

ქართული კინოს მოღვაწენი მიიღო სომხეთის პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა.

„ამხილეთ ეს ხალხი, თორემ, ჩვენ თვითონ გავუსწორდებით მათ"

ბატონო რედაქტორო!

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ფართო საზოგადოებას დავანახო სახელმწიფო მეთაურზე თავდასხმის ინიციატორთა ჭეშმარიტი სახე, ანუ ვამხილო ისინი, ვინც დღეს საქართველოს ერთიან კომუნისტურ პარტიას ამოფარებული აგრძელებს ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას, საფრთხეს უქმნის საქართველოს მომავალს.

ძლივს დაწყნარდა ქვეყანა, ძლივს აილაგმა (და თუ მომავალში, მჯერა, ბოლომდე აილაგმება) ათასი ჯურის ბანდიტი-დამნაშავე, ესენი კი პარტიის ლიდერის, ტერორისტ გიორგაძის მამის — პანტელეიმონ გიორგაძის თავკაცობით ერს გზა-კვალს უბნევენ.

თქვენს გაზეთს დამოუკიდებელი და ზეპარტიული აწერია. მაშ, ამომაღებინეთ ხმა, არ შემიმოკლოთ ნაწერი ზოგ-ზოგი ბუჩქებში შემძვრალი რედაქტორივით, ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლის შიშით უკანალს რომ ათამაშებს და კოჭს უგორებს ერთხელ უკვე საქვეყნოდ დისკრედიტებული, სისხლიანი პარტიის მსახურებს. ნუთუ, სხვა კანდიდატი ვერ მოიძია ტელევიზიიდან დევნილის მანტიაში გახვეულმა ვალერი კვარაცხელიამ თავისი სატელევიზიო რუბრიკის („პირისპირ") გაზეთ „შანსში" აღორძინებისას? მარა, მაგათ, ალბათ, აწყობთ წერონ პანტელეიმონებზე. წერონ და იკითხონ! ჭეშმარიტი თანამემამულენი დაკონსერვებულ იდეებზე მხოლოდ გაიცინებენ.

დაე, ისიც იცოდეს საზოგადოებამ, როგორ დაძვრებიან აქაური კომუნისტები პანტელეიმონ გიორგაძის თამადობით მოსკოვში ზიუგანოვთან, როგორი გადაფსკვნილები არიან სხვა „მოკავშირე რესპუბლიკების" კომუნისტ-ლიდერებთან და როგორ მოუწოდებენ ხალხს აქტიურად დაუჭირონ მხარი ზიუგანოვს. პ. გიორგაძეს არაერთხელ უთქვამს საჯაროდ, რომ არ წავიდოდა თუნდაც 9 მაისის ზეიმზე, რაკი ტრიბუნაზე ბორის ელცინი იდგებოდა. უფრო მეტიც, სწორედ ელცინი და შევარდნაძე, დემოკრატიის ეს პიონერები, უნდა წარსდგნენ სასამართლოს წინაშეო. საქართველოს „ერთიანი კომუნისტები" სწორედ მოსკოვის რეაქციული ძალებისაგან იღებენ მითითებებს, თუ როგორ აუწყონ ცხოვრება საქართველოს მოსახლეობას. თქვენ შეიძლება არაფერს გეუბნებათ ვინმე ევგენი კოპიშევის სახელი და გვარი „ზიუგანოვის კომანდიდან", რომლისგანაც მუდმივ კონსულტაციებს იღებენ ქართველი ლენინელები. პანტელეიმონ გიორგაძეც სწორედ მისი „ნამესტნიკია" მთელს ამიერკავკასიაში. სწორედ ესენი აყალიბებენ აზრს იმის შესახებ, რომ კომუნისტები არ დაუშვებენ ხელისუფლების სათავეში ბ. ელცინის მოსვლას, რომ აუცილებელია ტერორისტული აქტები დემოკრატთა წინააღმდეგ. ვითომდა, შესაძლო გადატრიალებისათვის მზად არიან ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ნაწილებიც, რომლებიც მოუთმენლად ელიან ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლას. „ახალი წესრიგის შემქმნელნი" გენერალ ლებედზეც ამყარებენ იმედს, თუმცა თანამდებობა მისთვის მხოლოდ ორი თვით ემეტებათ.

თავისუფალო ჟურნალისტებო, აუწყეთ მკითხველებს ისიც, თუ ვინაა სინამდვილეში შიდა ქართლში ყოფილი რწმუნებული, დეპუტატი ვაჟა ხაჭაპურიძე, ასე თავგამოდებით რომ მოითხოვენ მის განთავისუფლებას პანტ. გიორგაძის დამქაშები. 29-ის ტერაქტამდე იგი აქტიურად დარბოდა ომონში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, გვარდიაში და პროპაგანდას ეწეოდა — მალე დემოკრატების ბურდლა აღარ იქნებაო. იგი უცხო ქვეყნის დაზვერვის სამსახურში იდგა. ამიტომაც მოსულა პრეზიდენტის აპარატში წერილი მოსკოვიდან, აქაოდა, რუსეთის კომპარტიის წევრია, გაათავისუფლეთო. თუმცა, რაში ადარდებს რუს კომუნისტებს, რომ თავის დროზე ვ. ხაჭაპურიძემ უკანონო შეიარაღებული ფორმირება შექმნა და სხვადასხვა რანგის დანაშაულობანი მიუძღვის.

მოვა დრო და საზოგადოება გაიგებს, რომ ყველა ეგენი — იგორ გიორგაძეც, თემურ ხაჩიშვილიც და სხვები — უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების აგენტები იყვნენ. აფხაზეთის კომუნისტ-ლიდერთან ოლეგ დამენიასთან ქართველი კომუნისტების დანაშაულებრივი კავშირებიც გაირკვევა.

ერთი მხრივ, პ. გიორგაძე უსახსრობას უჩივის და მოსკოვში კი მშვენივრად დაბრძანდება, თანაც პირველი კლასის სალონებით. მისი შვილი კი ამ დროს რეაქციულ ძალებს ყავთ შეფარებული.

ქვეყანა, ვიმეორებ, წყნარდება. ხალხს მობეზრდა ომი და უბედურება. არჩევნებიც დემოკრატთა გამარჯვებით დამთავრდება. გეუბნებით — ამხილეთ ეს ხალხი, თორემ ჩვენ თვითონ გავუსწორდებით მათ!

ბივი მახარაძე

სხვა გაზეთებიდან

ასავალ დასავალი

სოციალური სფერო

პენსიის შემყურენი

მილიონ 124 ათას პენსიონერს მილიონ 700 ათასი მომუშავე ინახავს

როგორი ოპტიმისტებიც უნდა ვიყოთ, როგორი საღებავებითაც უნდა ვალამაზებდეთ ჩვენს ყოფას, არსებულ სინამდვილეს ვერსად გავექცევით. თბილისი „მარჩენალი" ბავშვებით გაივსო, რომელთა უმრავლესობას, ხეს ამოფარებული დედები უთვალთვალებენ.

თითქმის ყოველ ნაბიჯზე ხელგამოწვდილი მოხუცი გხვდება, ურით მოვაჭრე პროფესორი, თუნდაც ექიმი, ან ასფალტზე ფეხმოთხმული ინვალიდი, ძლივსღა დაცლასლასებენ პენსიების მომლოდინე, შიერ-მწყურვალი ადამიანები და ყოველივეს თითქოს შევეჩვიეთ, აღარც გვიკვირს...

მარტის ფასებით საარსებო მინიმუმმა ოთხსულიანი ოჯახისათვის 199,3 ლარი შეადგინა, ოთხსულიანი ოჯახის ერთი სულისათვის კი — 49,8 ლარია, საშუალო მომხმარებლისთვის იგი 99,7 ლარს უდრის, მაშინ, როცა პენსიის თანხა ძირითადად 6-7 ლარია, სამამულო ომის მონაწილეთათვის — ცოტა მეტი.

უჭირს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, განსაკუთრებით, სოციალურად დაუცველ ადამიანებს.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმამ, რომელიც შეუქცევადი გახდა, ჯერჯერობით ვერც ავადმყოფს მოუტანა შვება და ვერც მკურნალს.

რას მოგვიტანს რეფორმები სოციალური და საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში?

გვესაუბრება საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების მინისტრის მოადგილე, პროფესორი ვიქტორ იაშვილი:

მიმდინარეობს სოციალური და საპენსიო უზრუნველყოფის დაზღვევის შესახებ კანონპროექტების შემუშავება. 1 ივლისისათვის მზად უნდა გვქონდეს, წლის ბოლოსათვის კი პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს კანონები. კანონი საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ და კანონი კერძო საპენსიო ფონდების შესახებ. კანონპროექტების მომზადებაში ჩართულია მსოფლიო ბანკი, რომელიც ტექნიკურ დახმარებას გვიწევს. სამინისტროს სამუშაო ჯგუფი მივლინებული იყო ირლანდიასა და გერმანიაში, იქ გავეცანით ბუკლერიჯისა და ბისმარკის საპენსიო სისტემებს. ჩვენს კანონში ყველაფერი ხვალინდელ დღეზე იქნება გათვალისწინებული და გათვლილი.

როგორც ბატონმა ვიქტორმა განმარტა, სხვაგვარად განისაზღვრება ტარიფის ცნება. ტარიფს ჩვენ გადასახადს ვუწოდებდით, სინამდვილეში კი ჩვენი შენატანია, პენსიის თანხაც, ძირითადად, ამ შენატანისა და შრომის სტაჟის შესაბამისად გაიცემა.

ახალი კანონის ძირითადი სიახლე იქნება ის, რომ თითოეული მოქალაქე მიიღებს თავის სადაზღვევო **პოლისს** (ბარათს). პოლისზე აღინიშნება მთელი შრომითი ცხოვრების მანძილზე მისი და დამქირავებლის მიერ მასზე გადახდილი შენატანები და სტაჟი, ამიტომ, მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება წინასწარ გამოიანგარიშოს თავისი პენსიის ოდენობა. თუ მას სურვილი იქნება, მეორე კანონის თანახმად გაზრდის შენატანს სახელმწიფო ან კერძო საპენსიო ფონდში. ამრიგად, თითოეული მოქალაქე ინდივიდუალურ პენსიას მიიღებს. ეს ასეა მთელ მსოფლიოში და ასე უნდა იყოს ჩვენთანაც. ვისაც არ უმუშავია, მიიღებს სოციალურ პენსიას, ან პენსიას მარჩენალის გარდაცვალების გამო.

არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის გამო დღეისათვის უამრავი შეღავათია დაშვებული. რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ მიდგომას და დახმარებას მოითხოვენ ბავშვობიდან ინვალიდები. ეს სისტემაც მომავლისათვის, ალბათ, უფრო დაიხვეწება.

კითხვაზე — რატომ გვიანდება დღეს არსებული, ისედაც მწირი სოციალური პენსიების გაცემა, ბატონმა იაშვილმა აღნიშნა, რომ შესაბამისად გვიანდება შენატანების სოცდაზღვევის ბიუჯეტში მოხვედრა. თბილისში როგორღაც ვახერხებთ, მაგრამ რეგიონებში, მართლაც, გვიანდება, მაგრამ ეს სამინისტროს მიზეზით არ ხდება. თუ შენატანების სახით თანხა არ შემოვიდა, პენსიები როგორ გავაგზავნოთ? საქართველოში მილიონ 124 ათასი უმუშევარი პენსიონერია. მუშაობს მილიონ 700 ათასი ადამიანი, მომუშავეთა თანხა ინახავს პენსიონერებს. არსებობს ე. წ. ფარული უმუშევრობა. შენატანის დაფარვის მიზნით ბევრი მალავს, რომ მუშაობს. ასე არც ერთ ქვეყანაში არ აკეთებენ. ახალი კანონი, ალბათ, პრაქტიკულად შეცვლის სახელმწიფო დაზღვევის წესს.

სამინისტროს შენობიდან თითქმის ერთდროულად გამოვედით. ძლივს სუნთქავდა, წელში მოხრილ, სიფრიფანა მოხუცს მრავალსართულიანი სამინისტროს კიბეების ჩამოთავება უჭირდა.

— დიდი დიღმიდან ფეხით მოვედი, გავიგე, მინისტრი ჩემსავით გაჭირვებულებს ერთი თვის პენსიით ეხმარებაო, მაგრამ... არ დამიხვდა.. უკანაც ფეხით უნდა დავბრუნდე, ველარ დაველოდები, დამაღამდება...

ღმერთო ჩემო, აქედან ფეხით როგორღა უნდა წასულიყო? და მოხუცს ხელში 5-ლარიანი ძალით ჩავუდე...

ნაზი იმნაიშვილი.

კავკასიური სოჭის თესლი

გამოუყენებელი შესაძლებლობანი

ფაქტია, რომ ოთხმოციანი წლების ბოლომდე საქართველოდან სოჭის თესლის ექსპორტი ყოფილ საბჭოთა კავშირს ყოველწლიურად მილიონზე მეტ დოლარ შემოსავალს აძლევდა. დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ საქართველოს წლიური შემოსავალი ამ თანხასთან შედარებით მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს. ამდენად, საკითხი ეკონომიკურის გარდა პოლიტიკურ დატვირთვასაც იძენს, რაც ამკვეთრებს მისი გადაჭრის აუცილებლობას.

გარემოებათა გამო თავს მოვალედ ვრაცხ ერთგვარ გამოცანად ქცეულ ამ საკითხზე საჯაროდ გამოვთქვა ჩემი მოსაზრება და ვიკისრო პასუხისმგებლობა ხელისუფლებისა და საზოგადოების წინაშე ჩვენს მიერ შემოთავაზებული მექანიზმის განხორციელების შესაძლო შედეგების გამო. ამასთან მოვუწოდოთ შესაძლო ოპონენტს ასევე საჯაროდ წარმოადგინოს ალტერნატიული მოსაზრება, შედეგებზე გაცხადებული პასუხისმგებლობით.

კავკასიური სოჭის თესლი ცალსახად საექსპორტო საქონელია, თანაც ისეთი, რომელზეც მოთხოვნილება ბევრად ჩამოუვარდება მიწოდების შესაძლებლობას დამზადების ეკოლოგიურად დასაშვები მოცულობის ფარგლებშიც კი. ეს გარემოება თავისთავად მეტყველებს, რომ ნებისმიერი სახის შიგა კონკურენცია ქვეყნისათვის აბსოლუტურად წამგებიანია. არადა, სწორედ ასეთი სიტუაციაა დამკვიდრებული ჩვენთან ბოლო წლებში. მისი რადიკალური გამოსწორებისათვის აუცილებელია, რომ თესლის დამზადება — ექსპორტი ხორციელდებოდეს ერთი სამეურნეო სუბიექტის მიერ, რომელშიც საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, გაერთიანებული იქნებიან იურიდიული თუ ფიზიკური პირები, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფით. ამ შემთხვევაში ანტიმონოპოლიზმის კონცეფციის მოშველიება ან გაუცნობიერებლობის შედეგი იქნება, ან წყლის ამღვრევის მცდელობა. საკმარისია გავეცნოთ, მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1994 წლის კონფერენციის მასალებს, კერძოდ, კარლოს ფორტინის („იუნკტად — გენერალური მდივანი) მოხსენებას ვაჭრობისა და განვითარების შესახებ, სადაც ვკითხულობთ: „...კონკურენციის სფეროში პოლიტიკა ორიენტირებულია კაპიტალის დაგროვებაზე. ერთ შემთხვევაში აუცილებელია კონკურენციის შეზღუდვა, მეორეში კი მისი წახალისება. სახელმწიფოთა მთავრობებს საკუთარი სამრეწველო პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით გამოჰყავთ ფირმები ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოქმედების სფეროდან, განსაკუთრებით საექსპორტო სექტორში...". საქართველოსთვის კავკასიური სოჭის თესლი იმის კლასიკური მაგალითია, რომელზეც არა თუ უნდა წახალისდეს კონკურენცია, არამედ მაქსიმალურადაც შეიზღუდოს. სპონტანურად ეს პროცესი ისე გაიწელება დროში, რომ დააჩქარებს კავკასიური სოჭის თესლით ვაჭრობის შეწყვეტას. ამიტომ საქართველოს ხელისუფლება, სამწუხაროდ, იძულებული ხდება იკისროს ისეთი არაორდინარული ფუნქციაც, როგორიცაა სამეურნეო სუბიექტთა სწორი ორიენტაციის განსაზღვრა. ეს ალბათ მითითებებს დაჩვეული საზოგადოების „ბუნებრივი" მოთხოვნილებაა.

საკითხის სწორი და დროული გადაწყვეტა კეთილი ნერგის ხარებასავით „განწირულია" მზარდი და სასიკეთო ნაყოფის მოსაცემად. სახელდობრ, მიიღწევა მაქსიმალური ეკონომიკური შემოსავალი (დაახლოებით ერთი მილიონი აშშ დოლარი წლიურად), აღიკვეთება ტყის დაზიანება და მოსახლეობის ფუჭი შრომა, დამზადების მოცულობის განსაზღვრა მოხდება რეალური მოთხოვნილების შესაბამისად, დამზადება განხორციელდება ცივილიზებული ფორმით, რეგიონში უარყოფითი სოციალური ექსცესების გამორიცხვით, თესლით ვაჭრობა გადაიზრდება საშობაო და გასამწვანებელი ხეების უფრო მომგებიან ინდუსტრიაში, რაც, თავის მხრივ, აღკვეთს წიწვოვანი ტყეების წინასაშობაო გამოხშირვის მეტად საშიშ ტენდენციას, გახანგრძლივდება თვით თესლით ვაჭრობა, დაინერგება სერტიფიცირების ძალზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო სისტემა, რომელიც მთლიანად მცენარეული ნედლეულის ეფექტიური გამოყენების საფუძველს შექმნის, აღიკვეთება საქართველოს სახელით მეზობელი ქვეყნებიდან თესლის რეალიზაცია საერთაშორისო ბაზარზე, საქართველოს მხარე განთავისუფლდება ეკონომიკურად და სამართლებრივად კაბალური „კონტრაქტებისაგან", გამოიკვეთება დანიის, როგორც რეექსპორტიორის როლი ამ ქვეყნიდან პირდაპირი დოტაციების მიღების ფონზე, მოიხსნება ქვეყნებისა თუ სახელმწიფო მოღვაწეთა საჩოთირო იმიჯი, მრავალი მუშაკი სხვადასხვა უწყებიდან განთავისუფლდება წყლის ნაყვის მსგავსი პერმანენტური დატვირთვისაგან. თანაც, ყველაფერი ეს შეიძლება განხორციელდეს საერთო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე უწყებისა თუ პიროვნების ინტერესთა არათუ შელახვის, არამედ გამყარების პირობებში, ამასთან, საქმიანობა იქნება „გამჭვირვალე" ანუ კონტროლირებადი როგორც ხელისუფლების, ისე მოქალაქეების მხრივ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ პირად ინტერესებად დაქუცმაცებული „ღონისძიებანი", ყველა ზემოჩამოთვლილ სასიკეთო შესაძლებლობას გამორიცხავს და გაგრძელდება ეკონომიკური ზარალი, დამოუკიდებლობისა და რეფორმათა იდეების დისკრედიტაცია. სამწუხარო მაგალითად მარტო შარშანდელი გამოცდილებაც კმარა, თუმცა, ეს დასკვნა გამოგვაქვს გაცილებით ღრმა შესწავლის საფუძველზე, როგორც საქართველოს, ისე დანიისა და გერმანიის სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებთან მრავალწლიანი, ინტენსიური მუშაობის შედეგად.

მოქმედი საკანონმდებლო აქტები, ბუნებრივია, შემდგომ სრულყოფას საჭიროებს, მაგრამ ეფექტის მიღწევა სავსებით შესაძლებელია მათ ბაზაზეც. აუცილებელი პირობაა მხოლოდ, რომ შეთანხმება მოხდეს უმოკლეს დროში, რადგან სამეურნეო ხასიათის საკითხთა მოსაგვარებლად თესლის კრეფის სეზონამდე მცირე დრო რჩება. წელსაც ამ შანსის ხელიდან გაშვება, მეტი რომ არ ითქვას, დიდი შეცდომა იქნებოდა, ვინაიდან ყოველი მოცდენილი წელი ქარს გატანებული მილიონობით დოლარია.

დევი ლოგუანიძე,
სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

ექსპერტები განგაშს ტეხენ

თურქული და ტუბერკულოზი ამიერკავკასიაში გააქტიურდა!

კონტაქტები

ამას წინათ, აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში გაიმართა ვეტერინარული სამსახურის ხელმძღვანელთა საერთაშორისო შეხვედრა, რომელშიც გარდა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებისა, მონაწილეობდნენ ეგრეთ წოდებული შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების ვეტერინარული სამსახურის ხელმძღვანელები. ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდა საერთაშორისო ეპიზოოტიის ბიუროს პრეზიდენტი დოქტორი ჟაკ ბლანკო და ევროპის ქვეყნებში ამ ბიუროს გენერალური დირექტორი მიშელ ბელვან.

შეხვედრა გახსნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ვეტერინარული კომიტეტის თავმჯდომარემ მირსალიხ ჰუსეინოვმა, შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი.

ფორუმის მონაწილეებმა შეშფოთება გამოთქვეს იმასთან კავშირებით, რომ ინგლისსა და მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე თავი იჩინა დაავადებამ, რომელიც „ძროხის ცოფის" სახელწოდებითაა ცნობილი, ამის მიზეზით აიკრძალა მეცხოველეობის პროდუქტების და ნედლეულის არა მარტო ექსპორტი, არამედ ქვეყნის შიგნით სარგებლობისთვისაც მათი გამოყენება. ითქვა, რომ დასახულია ღონისძიებათა სისტემა აღნიშნული დაავადების უმოკლეს ვადაში სალიკვიდაციოდ, რაც შეეხება გახმაურებული 11 მილიონზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის განადგურების საკითხს, ამაზე საბოლოო სიტყვას იტყვიან საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც ამჟამად ინტენსიურად მუშაობენ.

შეხვედრაზე ხაზი გაუსვეს ამიერკავკასიის რეგიონში ისეთი საშიში დაავადებების გააქტიურებას, როგორიცაა თურქული, ჯილეხი, ბრუცელოზი, ტუბერკულოზი, ტრიქინელოზი, ექინოკოკოზი და სხვ. შეხვედრის მონაწილეებმა ასეთი არასასურველი პროცესი გარკვეულწილად ახსნეს ამ რეგიონში საომარი ვითარებით, მოსახლეობის არაორგანიზებულად და ქაოსური გადაადგილებით, მაგრამ მთავარი მიზეზია, — აღნიშნეს შეხვედრის მონაწილეებმა, — ვეტერინარული სამსახურების არაკოორდინირებული, შეუთანხმებელი საქმიანობა, ასაცრელი და სადიაგნოსტიკო მასალების ისეთი ქვეყნებიდან შემოტანა, რომელიც არ შეესაბამება სამხარეო ეპიზოოტოლოგიის სპეციფიკას...

ლეო შენგელია,
საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დოცენტი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ნაზრანი: დიდმნიშვნელოვანი მორიგება

რუსეთში შემავალი ინგუშეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ნაზრანში დამთავრდა ჩეჩნეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მოლაპარაკების პირველი რაუნდი, რომელიც 4 ივნისს დაიწყო ფედერალური მთავრობის დელეგაციასა და ჩეჩენ სეპარატისტთა დელეგაციას შორის. მიღწეულია წინასწარი შეთანხმება სამხედრო ბლოკის საკითხებზე. მოლაპარაკების მონაწილე ორივე მხარე ადასტურებს, რომ მშვიდობიანი მოწესრიგება ორ ეტაპად წარიმართება. 11 ივნისიდან 7 ივლისამდე ფედერალური ჯარები ბლოკადას მოხსნიან ჩეჩენთა სოფლებზე, ხოლო 7 ივლისიდან 7 აგვისტომდე, განხორციელდება ბოევიკების განიარაღება. ფედერალური ჯარების ეტაპობრივი გაყვანა აგვისტოს ბოლოსათვის დამთავრდება. ჩეჩნეთი დემილიტარიზებული იქნება და იქ თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები გაიმართება.

სტრატეგიული პარტნიორობა

რუსეთის ვიცე-პრემიერმა ოლეგ დავიდოვმა ჩიტის ოლქში სამუშაო ვიზიტის დროს განაცხადა, რომ ჩინეთი რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი უნდა გახდეს პოლიტიკის, ეკონომიკის სფეროებსა და სამხედრო დარგში. მან თქვა, რომ პრეზიდენტმა ბორის ელცინმა 2000 წლისათვის დასვა ამოცანა, გაორკეცდეს რუსეთ-ჩინეთის ვაჭრობა, ამჟამად, ყოველწლიური საქონელბრუნვა ორ ქვეყანას შორის შეადგენს ხუთ მილიარდ დოლარს, და ამის ნახევარი ჩინეთთან საზღვრისპირა ვაჭრობაზე მოდის. ვიცე-პრემიერმა აღნიშნა აგრეთვე, რომ, რუსეთის მთავრობა გაზრდის საზღვრისპირა ჩიტის ოლქის საექსპორტო პოტენციალს.

შეიცვალა სარდლობა

ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში მოხდა დეიტონის შეთანხმებათა შესრულების ადგილობრივი კონტინგენტის ჯარების სარდლის შეცვლა. ორშაბათიდან ეს თანამდებობა დაიკავა გენერალმა ჟორჟ ლადეველმა. მან შეცვალა ბრიგადის გენერალი ლუი ზელერუ, რომელიც იქ სარდლობდა ორ ფრანგულ და ერთ უკრაინულ ბატალიონს.

სირია უკმაყოფილოა

სირიის განცხადებით, ახლახან არჩეულ ისრაელის პრემიერს „მემარჯვენეთა" ლიდერს, ბინიამინ ნეთანიახუს სურს, „ომისა და ექსპანსიის პროგრამის მიღება", და მოუწოდა არაბებს, მხარი არ დაუჭირონ ისრაელთან კავშირურთიერთობას. სირიის ოფიციალურმა პრესამ მკვახედ გააკრიტიკა ქვეყნები, მათ შორის, ომანი, მაროკო და ტუნისი, რომლებიც ისწრაფვიან დაამყარონ კავშირები ისრაელ ოკუპანტებთან. სირია მოითხოვს ისრაელის ჯარების მთლიანად გაყვანას გოლანის მაღლობებიდან, რომელიც ისრაელმა 1967 წელს ჩაიგდო ხელში. ისრაელში ამას წინათ, გამარჯვებული ბინიამინ ნეთანიახუ ისრაელის მიერ ოკუპირებული არაბული მიწების დაბრუნების და დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნის მოწინააღმდეგეა.

ერაყი გაეროს მოთხოვნებს ასრულებს

ერაყმა დაიწყო ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოების დანადგარების სრული ლიკვიდაცია. ეს განაცხადა გაეროს ერაყის მასობრივი მოსპობის იარაღის და რაკეტული ტექნიკის განადგურების სპეციალური კომისიის წარმომადგენელმა. გაეროს ექსპერტები გასული კვირიდან მუშაობენ „ალ-ხაკამის" საწარმოებში — ბაღდადის სამხრეთით 80 კილომეტრის დაშორებით. პარალელურად, გაეროს ექსპერტები ეძებენ ერაყის არანაკლებ 25 რაკეტას, და მრავალ კონტეინერს ბაქტერიოლოგიური მუხტებით, გაეროს ეკონომიკური სანქციები ერაყის მიმართ არ მოიხსნება, ვიდრე ერაყის ყველა ბაქტერიოლოგიური იარაღი და რაკეტები არ მოიძებნება და არ განადგურდება.

გილოცავთ, კოლეგა!

ჩვენი გაზეთის აჭარის ბიუროს ხელმძღვანელი **გია შელიძე** თავის 60 წლისთავს ბათუმში შეხვდა. უკვე რამდენიმე წელია ბატონი გია ამ ბიუროს ხელმძღვანელობს და, როგორც მკითხველი შეამჩნევდა, ხშირად ბეჭდავს კიდეც მასალებს აჭარის დღევანდელობაზე.

გია შელიძის იუბილე არ გამოჰპარვიათ ჩვენს ბათუმელ კოლეგებს და გაზეთ „აჭარის“ 7 ივნისის ნომერში ფართოდ აღუნიშნავთ მისი 60 წლისთავი.

ბატონ გიას გულთბილად მიესალმებიან აჭარის ჟურნალისტთა კავშირი და ცნობილი პოეტი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ფრიდონ ხალვაში. აი, ფრიდონის მისალმებაც.



კალმით მებრძოლი

გია შელიძე კალმით მებრძოლი კაცია. ამ აფორიაქებულ მამულში იგი ყოველთვის ერთადერთ ნაღდ სახვალიო, სამართლიან სავალს მონახავს და მკითხველს ჭეშმარიტებისაკენ მოაბრუნებს.

გია, ჩვენი მრავალჭირგამოვლილი აჭარის ქომაგი და გულადი თაყვანისმცემელი, აქაური უკეთესი საქმეების გამომჩენელია, მისი თანამონაწილეა.

გია შელიძე ზაქარია ჭიჭინაძესავით გულის ტკივილით, ერთგულად, ზრუნვით და სიყვარულით ითავსებს ჩვენებურთა ჭირსა თუ ლხინს, ჩვენი გულის სათქმელსა და ჩვენი მარჯვენის საკეთებელს ხმამაღლა, ბეჯითად, საგანგებოდ აცნობს მთლიან საქართველოში ყველას.

ვულოცავ ჩვენს ძვირფას გია შელიძეს დღეობას!

ფრიდონ ხალვაში.

რა თქმა უნდა, ერთხმად ვუერთდებით ბატონ ფრიდონ ხალვაშს და გულით ვულოცავთ ჩვენს მეგობარსა და კოლეგას ღირსშესანიშნავ თარიღს.

აღმართს იქით აღმართია

ამ მშვენიერ გაზაფხულზე რა ვუსურვო მეგობარ-ჟურნალისტს, ქალს, რომელსაც, აგერ უკვე 35 წელია რედაქტორის მძიმე უღელი დაუდგამს და შესაშური ვაჟკაცობით ეზიდება საქვეყნო ტვირთს?

სიახალგაზრდავე?

მაგრამ თუ ისედაც ახალგაზრდაა, ანუ იმდენი წლისაა, როგორადაც გამოიყურება?

იმედიანი ხვალინდელი დღე?

ბანალური თქმა კია, მაგრამ თავად არის გამოუსწორებელი ოპტიმისტი. ქვეყანა რომ თავზე გვენგრეოდა, მაშინ არ დაუჯაბნია უსასობას, და დღეს რომ იმედიანად იყოს, რა გასაკვირია.

ჯანის სიმრთელე, წელთა სიმრავლე და თავისი შვილობილი გაზეთის დღეგრძელობა ვუსურვოთ.

გაზეთს **„გორელი ფეიქარი“** ჰქვია, მის რედაქტორს — **ნუნუ ხითარიშვილი.**

1961 წლის გაზაფხულზე ჩაუდგა სათავეში ნუნუ გორელ ფეიქართა მრავალტირაჟიან გაზეთს. მაშინ გორის ბამბეულის კომბინატს (დღეს მას სააქციო საზოგადოება „ლაინი“ ჰქვია) რესპუბლიკის საფეიქრო გიგანტს უწოდებდნენ. და გაზეთიც შესაშური ოპერატიულობით და ჟურნალისტური კეთილსინდისიერებით აშუქებდა ფეიქართა ცხოვრებას, შრომასა და ყოფას. მხარში ედგა კოლექტივს სამეურნეო ამოცანების შესრულებაში. ნომრიდან ნომრამდე იხვეწებოდა რედაქციის მუშაკთა პროფესიული დონე და ოსტატობა.

„გორელ ფეიქარში“ დაფრთიანებული ბევრი ახალგაზრდა ჟურნალისტი დღეს შიდა ქართლის მხარეში გამომავალ სხვადასხვა გაზეთებში მოღვაწეობს.

ნუნუ ხითარიშვილი გაზეთის რედაქტორობის 36-ე აღმართს შეუდგა. რა თქმა უნდა, ეს ის აღმართი როდია, სიზიფე რომ ლოდს მიაგორებდა. რედაქტორი ქალის მოღვაწეობა „გორელი ფეიქრის“ მკითხველების, ქალაქის საზოგადოებრიობის ხელისგულზე დევს. პატივს სცემენ და აფასებენ გაზეთის კოლექტივის ძალისხმევას „ლაინში“ შექმნილი საფინანსო-ეკონომიკური სიძნელეების დაძლევისათვის, წარმოების ეკონომიკის გამოცოცხლების პროგრამის შემუშავებისათვის.

ამ დღეებში ნუნუ ხითარიშვილს გაზეთის რედაქტორობის 35 წელი მიულოცა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ. იგი დააჯილდოვეს საპატიო დიპლომით. ფულადი ჯილდოთი აღნიშნა ეს თავისებური იუბილე სააქციო საზოგადოება „ლაინის“ გამგეობამაც.

გურამ ვაშაკიძე.

XEROX და HEWLETT PACKARD
ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში
გთავაზობთ ყველაფერს ოფისისათვის

ახლებადამზღები აპარატები	
• სამაგიდო: XEROX XC520, 5009 1:1, 5310	1133 - 2374 ლარი
• საშუალო სიმძლავრის: XEROX 5614, 5316, 5317, 5621	3386 - 10400 ლარი
• დიდი სიმძლავრის: XEROX 5328, 5334, 5343, 5352	6746 - 31443 ლარი
• საინჟინრო: XEROX 2515, 3030	10752 - 23296 ლარი
ფაქსიმილური აპარატები	
• XEROX 7235, 7238, 7239 (ავტომოპასუხით), 7245	765 - 890 ლარი
• XEROX 3006 (მრავალფუნქციონალური)	2 860 ლარი
კომპიუტერები	
• HP Vectra VE-486: 486DX4-100, 8/420/1.44/SVGA 14"	2874 ლარი
• HP Vectra VL-3: Pentium 90, 8/840/1.44/SVGA 14"	4490 ლარი
• HP Vectra VT: Pentium Pro-200, 32/1GB/1.44/SVGA 14"	12525 ლარი
პრინტერები	
• ჭავლური HP DeskJet : 340; 660; 1600; XEROX XJ-5	653 - 2662 ლარი
• ლაზერული HP LazerJet: 5L; 5P; 4; XEROX 4505/08/10/20	1152 - 3910 ლარი
• ლაზერული ფერადი: HP Color LazerJet; XEROX 4900/20	14861 - 16512 ლარი
პერიფერია	
• შავთეთრი და ფერადი სკანერები HP Scanjet 4S/4P/4C/4SI	768 - 5939 ლარი
• მულტიმედია, სტაბილიზატორები, უწყვეტი კვების აპარატები, ქსელის მოწყობილობა და სხვა	
უმაღლესი ხარისხის საკანცელარიო ქაღალდი	
• XEROX "Business" A4, 80 გ/მ (500 ფურცელი შეკვრაში)	10 - 12 ლარი
• XEROX "Business" A3, 80 გ/მ (500 ფურცელი შეკვრაში)	20 - 23 ლარი
• XEROX-ის სხვადასხვა ფერისა და წონის (160-200 გ/მ -მდე)	18 - 25 ლარი
• ფაქსის ქაღალდი	6 - 7 ლარი
იტალიური, უნგრული და ბულგარული საოფისე ავეჯი	
• მაგიდები, სავარძლები, სკამები, კარადები, რბილი ავეჯი	

ჩვენი მისამართია: თბილისი, შავთელის ქ. 5/7, ტელ: 98-36-31, ფაქსი: 98-96-58
წარმომადგენლობა: ზუგდიდი, ფირმა «მეგო», ცოტნე დადიანის ქ. 1 ტელ: 2-40-82

თაობა

გვიამბე, სკოლის ალბომო...

ამ ოცდაათიოდე წლის წინათ ერთი კეთილი კაცი ეწვია ატენის ხეობას, უფრო სწორად, ამ ხეობაში, მოჩუხჩუხე ტანას ნაპირზე გაშენებულ სკოლა-ინტერნატს. სტუმარი, მარტინ იშტვანოვიჩი, ბუდაპეშტის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ქართველოლოგი იყო და მასპინძლებთან კონტაქტების დამყარება არ გასჭირვებია.

სტუმარმა ბევრი რამ მოინიშნა თავის უბის წიგნაკში, წასვლისას კი სკოლის ალბომში ჩაწერა (რა თქმა უნდა, ქართულად): „სულითა და გულით ვუსურვებ კიდევ მრავალ-მრავალ წარმატებას ამ მშვენიერი დაწესებულების მეთაურს, მის პედაგოგიურ კოლექტივს — საქართველოს კულტურის აყვავებისათვის. გულთბილი მადლობით მარტინ იშტვანოვიჩი“.

ვფურცლავ ძველმოდურ, ფურცლებგახუნებულ სასკოლო ალბომს; მასში სკოლა-ინტერნატის 35 წლის ისტორიაა ჩავანებული. სწორედ ამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ტანას კლდოვან ნაპირზე ინტერნატის კომპლექსი წამოიმართა.

კაპიტალურად ნაგები სასწავლო და საძინებელი კორპუსები, კლას-კაბინეტები და ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სახელოსნოები, სპორტული მოედნები, კვების ბლოკი და სხვა სპეციალური დანიშნულების შენობები, კვალიფიკაციურ პედკოლექტივთან ერთად ატენის სკოლა-ინტერნატს, სხვა, მის მონათესავე სასწავლებლებისგან გამოარჩევდა.

მუზეუმში სკოლა-ინტერნატის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი მოსწავლეთა ხელსაქმის ნიმუშებია გამოფენილი. სწორედ აქ შევხვდით ამ დაწესებულების დირექტორს ბატონ აკაკი საგანელიძეს, სკოლის იუბილესათვის ემზადება თავად იუბილარი დირექტორი. ამ დღეებში მას 75 წელი შეუსრულდა, აქედან განათლების სისტემაში 55 წელია მოღვაწეობს.

ვულოცავთ იუბილეს.

ამირან ადამიშვილი,
ატენის სკოლა-ინტერნატის პედაგოგი,

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.

გვეხმაურებიან

ისევ „მტლაშა-მტლუშის“ შესახებ

ჩვენი გაზეთის 15 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ნოდარ ბროლაძის წერილი „მძულს უგულო... „მტლაშა-მტლუში“, რომელსაც მკითხველთა გამოხმაურება მოჰყვა.

• • •

ვერ გეტყვით, რომ სხვა თბილისელებთან ერთად, მეც არ ვიყო ჩაბმული ამ უგულო „მტლაშა-მტლუშში“, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ვცდილობ უფრო ახლობელსა და მონატრებულს მოვეფერო.

ამ „უგულო მტლაშა-მტლუშში“, ერთი მომენტიცაა გასათვალისწინებელი: თუ პირველი უხერხული ქმედება ეს უთავბოლო „მტლაშა-მტლუშია“, მეორე უბედურება, პირადად ჩემთვის ისაა, რომ დაკვირვებული ვარ, შეხვედრისას სწორედ ის კაცი მკოცნის ყველაზე ხშირად, რომელსაც ძალიან ვეზიზღები. ეს უკვე საშინელებაა და არა მხოლოდ ფარისევლობა.

სწორი ბრძანებაა — უნდა გავითვალისწინოთ „იუდას ამბორიც“. ამასთანავე, მინდა დავძინო, ნუ ავკრძალავთ კაცისა და ქალის ხვევნა-კოცნას, ჯერჯერობით მაინც ძალაში დავტოვოთ ეს ბრწყინვალე რიტუალი.

ბოლომდე გემხრობით, უფალმა შექმნა ადამი და ევა და არა — ევა და ევა, არცა — ადამი და ადამი.

ჯანსულ ჩარკვიანი.

• • •

მართალია, გახშირდა კოცნა, ამიტომ ფასიც დაკარგა. მგონი, პირველი მაგალითი ნიკიტა ხრუშჩოვმა მოგვცა: ყველას ახსოვს, როგორ კოცნიდა ბარაქიან წვერებში, თანაც სამგზის, ფიდელ კასტროს. და მაინც, ლოყაზე ამბორი არა მარტო ფარისევლობას, არამედ სიყვარულსაც გამოხატავს. იმდენად აირია ერთმანეთში ყველაფერი, რომ დღეს კაცს თუ ლოყა მოარიდე, უთუოდ იფიქრებს: ეტყობა, რაღაც ვაწყენინეო!

მე მაინც თავს შევიკავებდი პარლამენტში „კოცნის რეგლამენტირების შესახებ“ კანონპროექტის შემოტანისაგან — ვაი-უშველებელი ატყდება! ერთი ღირსება მაინც აქვს კოცნის სიხშირეს (თუმცა, გრიპის გავრცელებას, ალბათ, ხელს უწყობს), ღამაში ქალების საჯაროდ კოცნა დანაშაულად აღარ ითვლება და ამისათვის ნამდვილად ღირს, ზოგჯერ კაცებმაც კოცნონ ერთმანეთი.

რომან მიმინოშვილი.

ჩოგანი

დიდი გზის დასაწყისში

ოთხიოდე წლის წინათ დაიწყო 15 წლის თბილისელმა სერგო ხატიაშვილმა მწვრთნელ გიორგი მეიფარიანთან სპორტის ყველაზე ინტელიგენტურ და ინტელექტუალურ სახეობაში ვარჯიში. მას იმთავითვე შეუყვარდა ფარიკაობა და კერძოდ, მისი ერთ-ერთი სახე — დაშნა.

თბილისის განათლების სამმართველოს ფარიკაობის სპეციალიზებულ სპორტსკოლას (დირექტორი ლ. ლალანიძე) არა ერთი და ორი სახელოვანი მუშკეტერი გაუზრდია როგორც რესპუბლიკური, ასევე საერთაშორისო, მსოფლიო მასშტაბით.

ჯერ მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ რევაზ ცირეკიძე 1957 წელს ჩვენში პირველი დაშნით მოფარიკავე გახლდათ, რომელიც მსოფლიო პირველობის ფინალში გავიდა. იმ დროისათვის სწორედ ქართველი სპორტსმენი იყო გზის გამკვალავი საბჭოთა დაშნით მოფარიკავეთა მთელი პლეადისათვის — „ფარიკაობის ჯადოქარი“, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი, რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების ბრინჯაოს მედალოსანი, მრავალი თასისა და მედლის მფლობელი, დაშნით მოფარიკავე გურამ კოსტავა. და ბევრი ასეთი ძველი და ახალი თაობის წარმომადგენელი, ვისი წყალობითაც დღემდე მოაღწია აწ უკვე მბჟუტავმა ქართულმა ფარიკაობამ.

აი, ასეთი ისტორიითა და ლეგენდებით სავსე დარბაზში ვარჯიშობს თბილისის მე-8 საშუალო სკოლის მეათეკლასელი სერგო ხატიაშვილი.

15 წელი ფარიკაობისათვის ის ასაკია, როდესაც ყველაფერი ჯერ წინ არის, თანაც დაშნაში, სადაც ნებისყოფის სიმტკიცე, აზროვნება და გამოცდილება მთავარ როლს ასრულებს, დიდ შრომასთან და ცოტა იღბალთან ერთად. დღეისათვის სერგომ შესძლო არცთუ ისე ურიგო წარმატებების მიღწევა: არის საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი და პრიზიორი, ორი წლის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონატების ფინალისტი, 1995 წლის სექტემბერში ქ. ბაქოში ჩატარებულ დაშნით მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ნაკრებთან ერთად დაიკავა I ადგილი. უნდა აღინიშნოს, რომ იქ თანაგუნდელები მასზე სულ ცოტა 9-10 წლით უფროსები იყვნენ(!).

ალბათ, ყმაწვილ მუშკეტერებს მალე გაეხსნებათ დიდი ასპარეზისაკენ მიმავალი გზა და იმედი გვაქვს, ცოტა ხნის შემდეგ მათზე, როგორც პროფესიონალ, ჩამოყალიბებულ სპორტსმენებზე გვექნება საუბარი.

ხათუნა ჭუმბურიძე.

ხსოვნა

როსტომ ნორაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა თვალსაჩინო სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი როსტომ ტარიელის ძე ნორაძე.

დაიბადა 1934 წელს ყვარლის რაიონის სოფელ ენიკაანში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან მხედრული ცხოვრების გზა აირჩია და ამ გზაზე ნამუსიანად და კაცურად იარა. თბილისის სამხედრო საარტილერიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ — 1958 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მან განვლო გზა საარტილერიო ნაწილის ოცეულის მეთაურიდან ქვეყნის სამხედრო სამსახურის უმაღლეს ეშელონებამდე. მან 1971 წელს დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლა, ხოლო 1975 წელს — მოსკოვის სამხედრო პოლიტიკური აკადემია, იყო ლენინგრადის სამხედრო სარაკეტო ჯარების არტილერიის აკადემიის მსმენელი.

როსტომ ნორაძე ოცი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა საქართველოს სამხედრო კომისარიატში, აქედან 14 წელი — პოლიტგანყოფილების უფროსი იყო. შემდგომ ბატონმა როსტომმა პედაგოგიურ სარბიელზე გადაინაცვლა — იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ისტორიის კათედრის დოცენტი.

ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გარდატეხის ჟამს თანასოფლელებმა რ. ნორაძე ენიკაანის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს და 1989-91 წლებში თავკაცობდა სოფელს. შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა სამხედრო მოღვაწეობას — იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი, რესპუბლიკის შინაგანი ჯარების სარდლის მოადგილე, სამხედრო საბჭოს წევრი. მან საკუთარ მხრებზე გადაიტანა აფხაზეთის ომის მთელი სიმძიმე.

შემდეგ როსტომ ნორაძე განაგებდა კახეთის რეგიონის თავდაცვისუნარიანობის, უშიშროებისა და მართლწესრიგის სამსახურს, ხოლო 1994 წლის აგვისტოდან დაინიშნა ყვარლის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად, შემდეგ კი — თავმჯდომარედ, სადაც 1996 წლის თებერვლამდე იმუშავა. უკანასკნელ ხანს იგი იყო საქართველოს სამხედრო აკადემიის პედაგოგი.

ბატონი როსტომ ნორაძე არის ავტორი ქართული სამხედრო ხელოვნებისადმი მიძღვნილი სამი წიგნისა და ათამდე ბროშურისა. მის მაგიდაზე დარჩა ხელნაწერი წიგნისა „აფხაზეთის ტრაგედია — ნანახი და განცდილი“.

ბატონი როსტომ ნორაძე თავისი შინაგანი ბუნებით, პიროვნული ხიბლით გამორჩეული გახლდათ. ვინც მას იცნობდა, არასოდეს დაავიწყდება მისი მშვიდი, პატიოსანი, ადამიანისადმი მოყვარული პიროვნება, რომელიც სიკეთის მადლს ჰფენდა ირგვლივ მყოფთ.

წავიდა ამ ქვეყნიდან როსტომ ნორაძე — მოსიყვარულე, ტკბილი მამა და პაპა, უებრო მეგობარი და ქვეყნის ერთგული ჯარისკაცი.

ნათელი დაადგეს!

კახეთის მხარის ადმინისტრაცია, ყვარლის რაიონის გამგეობა.

პროკურორის თანაშემწე „ხელის დამცლელი“

ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივად განხორციელებული საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიების შედეგად, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა-რეალიზაციის ფაქტზე ამხილეს და დააკავეს სენაკის რაიონის პროკურორის თანაშემწე ვარლამ გრიგოლია. მასთან ერთად დააკავეს თბილისელი გურამ ჩიქავა. 1995-1996 წლებში მათ სენაკის რაიონის სახაზინოს ყალბი გადაწყვეტილებებით აღრიცხვაზე აჰყავდათ უკანონოდ შემოტანილი და ნაქურდალი ავტომანქანები, რომლებსაც შემდეგ ჰყიდდნენ.

ამ გზით გაფორმებული 63 ავტომანქანა უკვე გამოავლინეს.

საქინფორმი.

საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება „ცოდნის“ ღია უნივერსიტეტი, რომელიც მოქმედებს გაეროს ეგიდით და გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს პროგრამებით აცხადებს მიღებას 1996-97 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

იურიდიული ფაკულტეტი: სამართალმცოდნეობა.
ჟურნალისტიკის ფაკულტეტი: ჟურნალისტიკა (ტელევიზია, რადიო, პრესა).
ეკონომიკური ფაკულტეტი: საბანკო საქმე, მენეჯმენტი, ვაჭრობის ეკონომიკა.
სწავლების ხანგრძლივობა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებისათვის 4 წელი, უმაღლესდამთავრებულებისათვის — 2 წელი. სწავლა ფასიანია.
უნივერსიტეტში ჩარიცხვა — გასაუბრების წესით.
უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს მიეცემათ სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, საერთაშორისო სერტიფიკატი.
დაწვრილებითი ცნობების და საბუთების მიღება ყოველდღე
(გარდა კვირა დღისა) 11-დან 17 საათამდე.
უნივერსიტეტის მისამართი: თბილისი, კოსტავას 47, საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება „ცოდნა“, მესამე სართული, მიმღები კომისია.
ტელეფონები: 99-00-35, 99-94-46, 99-65-65, 93-66-13, 93-43-10, 99-62-71.
მიმღები კომისია.

სიახლე!
მარმარილოს და ონიქსის ბუხრები ევროპიდან
– სხვადასხვა ფერის და დიზაინის.
უმაღლესი ხარისხი, ზედაპირის იდეალური გაპრიალება. გვყავს გამოცდილი ოსტატები, რომლებიც
უმოკლეს ვადებში
მიახსრულებენ აწყობა-მორგების სამუშაოებს.
საბოლოო ჯამში თქვენი
ხარჯები უფრო ნაკლები იქნება,
ვიდრე შეკვეთით დამზადების შემთხვევაში.
გთხოვთ მობრძანდეთ და თავად იხილოთ:
თავისუფლების მოედანი,
ტაბიძის 3/5.

ცივ ლუდს, შამპანიურს და სხვადასხვა სახის კერძებს, ვიდეოკლიპებისა და სპორტული სანახაობების თანხლებით დიდ ეკრანზე 3X2.
გთავაზობთ რესტორანი
„ეკრანი“
რუსთაველის გამზირზე, კინოს სახლის ეზოში,
ყოველდღე 14-დან 01 საათამდე.“



აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი
აცხადებს მიღებას 1996-97 სასწავლო წლისათვის

ქართული და რუსული სექტორების შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული);
2. საგარეო ურთიერთობათა მომსახურება (დიპლომატიური);
3. უცხოური ენები (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური, იტალიური);
4. სამედიცინო ფსიქოლოგია;
5. ისტორია;
6. ხელოვნებათმცოდნეობა;
7. საერთაშორისო ჟურნალისტიკა;
8 საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი.

— ინსტიტუტს აქვს მოსამზადებელი განყოფილება, აგრეთვე საღამოს დასწრებული და დაუსწრებელი სწავლება.
— ინსტიტუტში მოწვეული არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების საუკეთესო სპეციალისტები.
— ინსტიტუტი სამეურნეო ანგარიშზეა. სწავლის გადასახადი ხელმისაწვდომია ყველა აბიტურიენტისათვის.
— მიღება წარმოებს გასაუბრება-გამოცდის წესით.

ცნობებისათვის მიმართეთ: ცოტნე დადიანის 19. **ტელ: 95-47-25, 95-10-23.**
მე-4 საშუალო სკოლის შენობაში.
საბუთები მიიღება ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, 14-დან 17-საათამდე.

გთავაზობთ
1. ქსეროქსის ქაღალდს; ფ. A4; 1 შეკვრა (250 ფურც.) - 3,80 ლ.
2. საწერ და საბეჭდ ქაღალდს; ფ. A4; 1 შეკვრა (260 ფურც.) - 3,40 ლ.
3. საწერ ქაღალდს (II ხარისხი) ფ. A4; 1 შეკვრა (220 ფურც.) - 2,20 ლ.
4. პრინტერის ქაღალდს რულონებში; სიგანე 21სმ; 1რულ.-6ლ.
5. პრინტერის პერფორირებულ ქაღალდს; სიგანე 42სმ; 1კგ-3,8ლ.
- უნაღდო ანგარიშსწორებით. ადგილზე მიწოდებით.
ტელ.: 38-91-64 39-84-05

გახსენება

სპარტაკ ფანჩულიძე

შვილო სპარტაკ, ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენი თავი წამებით მოგვკლეს ბოროტმა არაკაცებმა.

10 ივნისს ოცი წელი შეგისრულდებოდა, ჩვენო ნაადრევად დავაჟკაცებულო, ერთადერთო ბიჭო.

ერთი წლის გიორგი დაობლეს და 17 წლის ნათია დააქვრივეს იმ გარეწრებმა, შვილო!

შენმა გამზრდელმა ბებიამ, ვერ აიტანა უშენობა და შენთან წამოვიდა, ჩვენო ლამაზო და ყველასათვის საყვარელო სპარტაკ!

ჩვენ კი, შენი მშობლები, იმიტომ ვცოცხლობთ, რომ როგორმე შენს მკვლელებს სამაგიერო მივუზღოთ და სიმართლეს მივაღწიოთ, ქუთაისის ქუჩებში არხეინად რომ არ ისეირნონ შენი სიკვდილის მოსურნეებმა. გვჯერა, შვილო, ყველაფერს ნათელი მოეფინება და სიმართლე იზეიმებს. თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ რა ფასი ექნება ჩვენს ცხოვრებას უსამართლო ქვეყანაში...

ჩვენ, ღვთის მორწმუნენი, ღმერთს ვევედრებით, რომ მარადიულ ნათელში გვიმყოფოს შენი სპეტაკი სული.

შენ კი იქიდან ილოცე, შვილო, შენს პატარა გიორგიზე, რომელიც ყოველდღე ელოდება თავის საყვარელ მამიკოს და თვალები ჭიშკრისკენ უჭირავს.

ასე, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო...

შენი გამწარებული გია და მაგული ფანჩულიძეები.

კახეთის მხარის ადმინისტრაცია და ყვარლის რაიონის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყვარლის რაიონის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე

როსტომ ტარიელის ძე ნორაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე თინგიზ სხირტლაძე შვილები ეკა, ლიკა, სიძეები ბიძინა გიგიძე, ხანდრო ლეჟავა, შვილიშვილები თემუკა, ქეთი, მაკა, ნიკუშა და მანანა მაყაშვილები, ასმათ რატიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მაკა მაყაშვილი

პანაშვიდი 12 VI, 5 ს., გამოსვენება 18 VI, 3 ს. იოსელიანის 37.

მორიგე რედაქტორი არმაზ სანებლიძე.

გამომცემელი - შპს „პრესა“ რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66434. ტელ.: 99-73-24. მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.